

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი მედიცინის ფაკულტეტი  
სადოქტორო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“

**ნანა კინწურაშვილი**

ტერფის მიკოზის ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი საქართველოს თავდაცვის  
მაღლებში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გალდავა

მედიცინის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2020 წელი

## აბსტრაქტი

**შესავალი:** კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის ძალებში ტერფის მიკოზის ეპიდემიოლოგიური მახასითებლების კომპლექსური ანალიზი.

**მასალა და მეთოდები:** ჩატარდა ჯვარედინი სექციური კვლევა, რომელშიც სტრატიფიციური შერჩევით, წერილობითი თანხმობის საფუძველზე მონაწილეობა მიიღო თავდაცვის ძალებში დასაქმებულმა 729 მამრობითი სქესის სამხედრომ და 279 სამოქალაქო პირმა. წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარების შევსების შემდეგ, განხორციელდა ყველა მათგანის კლინიკური დათვალიერება და აღმოჩენილი პათოლოგიური კერებიდან აღებული მასალის ლაბორატორული კვლევა. სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა Statistical Package for Social Sciences (SPSS) ვერსია 22.0.

**შედეგები:** გამოკვლეული 729 სამხედროდან, 46,64%-ს (n=340) კლინიკურად აღმოაჩნდა ტერფის მიკოზი, აქედან ლაბორატორიულად დაუდასტურდა 25,24%-ს (n=184), ხოლო 279 სამოქალაქო პირიდან დაუდგინდა 21.86%-ს (n=61), მათ შორის დადასტურდა 13,98%-ში (n=39). ონიქომიკოზის პრევალენტობა სამხედროებში იყო 24,83%.(n=181), სამოქალაქო პირებში კი 11,47% (n=32). მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა რომ ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის პრევალენტობა კავშირშია ასაკთან - დადასტურებული ტერფის მიკოზის სიხშირე მცირდება ასაკის ზრდასთან ერთად (18-25 წლის ასაკში - 51.52% და >35 ასაკში - 23.83% (p=0.0209)), ონიქომიკოზის სიხშირე კი იზრდება ასაკის მატებასთან ერთად (18-25 წწ ასაკობრივ ჯგუფში 12,12%, 26-35წ ჯგუფში 28,87%, ხოლო >35წ ჯგუფში 33,18% (p< 0.001)). გამოვლინდა დაავადების კავშირი სამხედრო წოდებასთან - კლინიკური ტერფის მიკოზი სარწმუნოდ მცირდება რანგის ზრდასთან ერთად (p=0.0051), მაგრამ ამ დროს იზრდება ონიქომიკოზის შემთხვევები (p<0.001). რაც შეეხება სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის პერიოდს ტერფის მიკოზის შემთხვევაში არ გამოვლინდა კავშირი დაავადების განვითარებასთან. ონიქომიკოზის შემთხვევაში კი 10 წელზე მეტი ნამსახურეობის ჯარისკაცებში სარწმუნოდ მაღალია დაავადების

შემთხვევები ( $p=0.002$ ). კვლევებით დადგინდა, რომ ტერფის მიკოზის კლინიკურ გამოვლინებასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს - კლინიკური ონიქომიკოზი ( $r=0.163^*$ ;  $p<0.001$ ); სამხედრო ფეხსაცმლის 14 საათზე მეტი ყოველდღიური ხმარება ( $r=0.105^*$ ;  $p=0.004$ ); მხოლოდ 1 წყვილი სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება ( $r=0.354^*$ ;  $p<0.001$ ); უსიამოვნო სუნი ( $r=0.073$ ;  $p=0.048$ ); ხშირად ნესტიანი ფეხი - ( $r=0.074$ ;  $p=0.044$ ); ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე ( $r=0.159^*$ ;  $p<0.001$ ). უარყოფითი კორელაცია კი გამოვლინდა - სამხედრო ფეხსაცმლის მოხმარებასთან სამუშაო დღეებში 9-18 საათამდე ( $r=-0.085$ ;  $p=0.022$ ) და ორი და მეტი სამხედრო ფეხსაცმლის მონაცვლეობით გამოყენებასთან ( $r=-0.354$ ;  $p<0.001$ ).

ტერფის მიკოზის განვითარების ფარდობით შანსს ზრდის საერთო საშხაპით სარგებლობა -  $OR=1.04(95\%CI:1.01-1.07)$  და ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე -  $OR=3.27(95\%CI:1.79-5.96)$ , ხოლო ამცირებს ორი და მეტი სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება მონაცვლებით  $OR=0.21(95\%CI:0.15-0.29)$ .

**დასკვნები:** ტერფის მიკოზი პრევალენტობა ქართველ სამხედროებში საკმაოდ მაღალია. აუცილებელია ფართო მაშტაბიანი სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ამ დაავადებით გამოწვეული დისკომფორტი ქართველ სამხედროებში.

## **Abstract**

**Introduction:** The aim of the research is to conduct the complex analysis of epidemiological characteristics of tinea pedis in Georgian Defense Forces.

**Materials and Methods:** We conducted a cross-sectional study among 729 active soldiers and 279 civilians, after getting the signed consent form from them. Having completed the structured questionnaire, the clinical foot skin examination was performed in the selected population and scrapings from suspected lesions were taken for direct microscopic examination. For statistical analysis, we used the Statistical Package for Social Sciences (SPSS) version 22.0.

**Results:** Out of the 729 soldiers studied, tinea pedis was clinically observed in 46,64% (n=340), laboratory confirmed in 25,24% (n=184) cases, while out of the 279 civilians, tinea pedis was found in 21.86% (n=61), and approved in 13,98% (n=39). The prevalence of onychomycosis has been reported in 24,83% (n=181) among soldiers and 11,47% (n=32) in civilians. Multivariate analysis showed that the prevalence of tinea pedis and onychomycosis is correlated with the age - if in case of confirmed tinea pedis, its frequency decreases with the age (18-25 years - 51.52%, and >35 years - 23.83% ( $p=0.0209$ )), for onychomycosis the frequency increases with the age (18-25 years 12,12%, 26-35 years 28,87%, and >35 years 33,18% ( $p< 0.001$ )). Moreover, the disease turned out to be related to the military ranks – the clinical diagnosis of tinea pedis significantly decreases with the higher rank ( $p=0.0051$ ), however, at the same time increases the cases of onychomycosis ( $p<0.001$ ). The presence of tinea pedis in target group was not associated with the length of military service. As for onychomycosis, those soldiers who served for more than 10 years, have a significantly higher occurrence of the disease ( $p=0.002$ ).

The present study has shown that the clinical manifestation of tinea pedis reveals a remarkably positive correlation between onychomycosis ( $r=0.163^*$ ;  $p<0.001$ ); wearing the military boots for more than 14 hours everyday ( $r=0.105^*$ ;  $p=0.004$ ); wearing only 1 pair of military boots ( $r=0.354^*$ ;  $p<0.001$ ); unpleasant smell ( $r=0.073$ ;  $p=0.048$ ); damp foot - ( $r=0.074$ ;  $p=0.044$ ); having tinea pedis before military service ( $r=0.159^*$ ;  $p<0.001$ ). On the other hand, the negative correlation was released between – the usage of military boots during

weekdays between 9-18 hours ( $r=-0.085^*$ ;  $p=0.022$ ;) and having two or more military boots interchangeably ( $r=-0.354$ ;  $p<0.001$ ).

Using a communal shower - OR=1.04 (95%CI:1.01-1.07) and having tinea pedis before military service - OR=3.27(95%CI:1.79-5.96), increases the relative chances of tinea pedis development, though using two or more military boots interchangeably decreases its spread - OR=0.21(95%CI:0.15-0.29).

**Conclusions:** Tinea pedis is highly prevalent in Georgian soldiers. It is necessary to develop a large-scale strategy and implement appropriate preventive measures in order to minimize the discomfort in Georgian military caused by this disease.

## **სარჩევი**

### **1. საწყისი ნაწილი**

#### **თავფურცელი**

- აბსტრაქტი.....I
- სარჩევი.....V
- ცხრილების, გრაფიკების და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი.....VI
- შემოკლებები - აბრევიატურების ჩამონათვალი.....VIII

### **2. ძირითადი ნაწილი**

- I შესავალი - კვლევითი თემის აქტუალობა.....1
- II სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა .....4
- III კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდიკები და მეთოდები.....30
- IV კვლევის ეთიკის საკითხები.....36
- V კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.....37
- VI დასკვნები და რეკომენდაციები .....72

### **3. დასკვნითი ნაწილი:**

- VII გამოყენებული ლიტერატურა - ბიბლიოგრაფია.....74
- VIII გამოქვეყნებული ნაშრომების სია .....84
- IX მოხსენებები ნაშრომის თემაზე.....84
- X დანართები.....85

## **ცხრილების, გრაფიკების და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი**

ცხრილი 1. გამოკვლეული სამხედროები ასაკობრივი ჯგუფებისა და სამხედრო ქვედანაყოფების მიხედვით, გვ.33

ცხრილი 2. სამხედროების ასაკისა და ნამსახურეობის წლების მონაცემები, გვ.34

ცხრილი 3. სამხედრო და სამოქალაქო პირთა ასაკობრივი მონაცემები, გვ.35

ცხრილი 4. წოდებრივ ჯგუფებში ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის გადანაწილება, გვ.40

ცხრილი 5. სამხედრო ქვედანაყოფებში ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების გადანაწილება, გვ.42

ცხრილი 6. სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის პერიოდის მიხედვით ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის მონაცემები, გვ.43

ცხრილი 7. ასაკობრივ ჯგუფებში ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის მონაცემები, გვ.44

ცხრილი 8 ა. სამხედრო ქვედანაყოფებში კანის დაავადებების გადანაწილება, გვ.46

ცხრილი 8 ბ. სამხედრო ქვედანაყოფებში კანის დაავადებების გადანაწილება, გვ.47

ცხრილი 9. სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის პერიოდის მიხედვით ჯგუფებში კანის დაავადებების მონაცემები, გვ.49

ცხრილი 10. სამხედრო ფეხსაცმლის რაოდენობის გამოყენების მიხედვით გამოკითხული სამხედროების მონაცემები, გვ.50

ცხრილი 11. კითვარებიდან მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, გვ.51

ცხრილი 12. ტერფის მიკოზი სამხედრო სამსახურში მოსვლამდე და 10 წლიანი მსახურის შემდეგ, გვ.53

ცხრილი 13. კორელაცია ტერფის მიკოზსა და რისკ ფაქტორებს შორის, გვ.54

ცხრილი 14. კორელაცია ტერფის მიკოზსა და რისკ ფაქტორებს შორის, გვ.57

ცხრილი 15. კორელაცია ტერფის მიკოზსა და რისკ ფაქტორებს შორის, გვ.60

ცხრილი 16. კორელაცია ტერფის მიკოზსა და რისკ ფაქტორებს შორის, გვ.62

ცხრილი 17. კორელაცია ტერფის მიკოზსა და რისკ ფაქტორებს შორის, გვ.63

ცხრილი 18. ტერფის მიკოზის კლინიკური გამოვლინების მახასიათებლების სტატისტიკური შეფასება, გვ.64

ცხრილი 19. ტერფის მიკოზის ფარდობითი შანსის შეფასება, გვ.67

ცხრილი 20. კანისა და ვენ. სწეულებათა ერ. ცენტრის სტატისტიკური მონაცემები, გვ.68

ცხრილი 21. კანისა და ვენ. სწეულებათა ერ. ცენტრის სტატისტიკური მონაცემები, გვ.69

ცხრილი 22. სამხედრო და სამოქალაქო პირებს შორის მიკოზების სიხშირის სტატისტიკური შეფასება, გვ.69

დიაგრამა 1. სამხედროებში ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის გავრცელების ზოგადი შედეგები, გვ.37

დიაგრამა 2. ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების მონაცემები, გვ.38

დიაგრამა 3. წოდებრივ ჯგუფებში დადასტურებული ტერფის მიკოზის გადანაწილება (%), გვ.38

დიაგრამა 4. წოდებრივ ჯგუფებში კლინიკური ონიქომიკოზის გადანაწილება(%), გვ.39

დიაგრამა 5. სამხედრო ქვედანაყოფებში ტერფის მიკოზისა და კლინიკური ონიქომიკოზის გადანაწილება(%), გვ.40

დიაგრამა 6. წოდებრივ ჯგუფებში კლინიკური ტერფის მიკოზის გადანაწილება(%), გვ.41

დიაგრამა 7. წოდებრივ ჯგუფებში კანის დაავადებების გადანაწილება(%), გვ.45

დიაგრამა 8 . ტერფის დისკომფორტი სამხედროებში (%), გვ.66

დიაგრამა 9. დისკომფორტის სიხშირე ტერფის მიკოზის მქონე სამხედროებში.(%)გვ.66

დიაგრამა 10. ტერფის მიკოზის ფარდობითი შანსის შეფასება, გვ.67

დიაგრამა 11. სამხედრო და სამოქალაქო პირებს შორის მიკოზების სიხშირის სტატისტიკური შეფასება (%), გვ.70

დიაგრამა 12. საქართველოს სამხედროებისა და სხვა ქვეყნის სამხედროების კლინიკური ტერფის მიკოზის მონაცემების შედარება, გვ.71

დიაგრამა 13. საქართველოს სამხედროებისა და სხვა ქვეყნის სამხედროების დადასტურებული ტერფის მიკოზის მონაცემების შედარება, გვ.71

დიაგრამა 14. საქართველოს სამხედროებისა და სხვა ქვეყნის სამხედროების კლინიკური ონიქომიკოზის მონაცემების შედარება, გვ.72

### **შემოკლებები - აბრევიატურების ჩამონათვალი**

1. AFSS - „ათლეტის ტერფის“გამოვლინების სიმძიმის ქულა
2. AFSI - „ათლეტის ტერფის“ გამოვლინების სიმძიმის ინდექსი
3. DLSO - დისტალური ან ლატერალური ფრჩხილის ქვეშა ონიქომიკოზი;
4. PSO - პროქსიმალური ფრჩხილის ქვეშა ონიქომიკოზი;
5. WSO - ზედაპირული თეთრი ონიქომიკოზი;
6. TDO - ტოტალური დისტროფიული ონიქომიკოზი;

## 2. ძირითადი ნაწილი

### I შესავალი - კვლევითი თემის აქტუალობა;

ტერფის მიკოზი (tinea pedis) დერმატოფიტოზული ინფექციაა, რომელიც აზიანებს ტერფის კანს, უმთავრესად ფეხის თითებშუა ნაკეცებსა და ტერფის ფეხისგულისკენა (ძირისკენა) ზედაპირს.(Bolognia, Jorizzo, and Schaffer 2015) ერთ-ერთი გავრცელებული დაავადებაა დერმატოლოგიურ პრაქტიკაში. ზრდასრული მოსახლეობის 70 %-ს სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც აღენიშნებოდა ტერფის მიკოზით ავადობა.(Brooks and Bender 1996)

არსებობს ტერფის მიკოზის ქრონიკული და მორეციდივე ფორმები. ამ დაავადების ძირითადი გამომწვევი არის ანტროპოფილური სოკო - trichophyton rubrum, trichophyton interdigitale და epidermophyton floccosum.(Topley et al. 2005) ჩამოთვლილთაგან ყველაზე ხშირი გამომწვევია trichophyton rubrum.(Ilkit and Durdu 2015) სოკოვანი დაავადებების სიხშირის ძლიერი მატება სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორის ტემპერატურისა და ტენიანობის მომატება.(Havlickova, Czaika, and Friedrich 2008) ამ დაავადების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ყოველწლიურად იხარჯება დახლოებით 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი.(Kane 1997) ტერფის მიკოზის კონტაგიოზურობისა და მორეციდივე ხასიათის გამო, დერმატომიკოზებს შორის არის ყველაზე გავრცელებული დაავადება, რაც განაპირობებს მის სამედიცინო და სოციალურ პრობლემად არსებობას.(Ilkit and Durdu 2015)

ძალიან მნიშვნელოვანია ფეხის სოკოს ზუსტი დიაგნოსტიკა, რაც მკურნალობის ეფექტურობის წინაპირობაა. ტერფის მიკოზი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს სხეულის სხვა მიდამოებში დერმატომიკოზის გავრცელებისათვის. ეს დაავადება ხშირად გადაეცემა აუტოინოკულაციით, რაც დამატებით ხელს უწყობს ხელის, საზარდულისა და ფრჩხილის სოკოს განვითარებას.(Daniel III et al. 1997)(Daniel III and Jellinek 2006) ფეხის სოკო არის ყველაზე ხშირად ჭიშკარი ბაქტერიებისათვის, ფეხის ნახეთქების ზონებში და იწვევს მეორადად ანთებით რეაქციას.(Ilkit, Durdu, and Karakaş 2012)

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ტერფის სოკოს გლობალური გამრავლება. ეს მოვლენა განაპირობა ურბანიზაციის ზრდამ, სპორტული და ფიტნეს დარბაზების ინტენსიურმა განვითარებამ, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამხედროებში ტერფის მიკოზის გავრცელება გაცილებით მაღალია ვიდრე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებში. არსებული მწირი ლიტერატურული წყაროების მიხედვით (Şenel, Doğruer Şenel, and Salmanoğlu 2015)(Sasmaz and Celik 2011b)(A. Djeridane, Djeridane, and Ammar-Khodja 2007) დერმატოფიტოზი ერთ-ერთი გავრცელებული დაადებაა სამხედროებში. დამცავი ტანსაცმლის ჰერმენტულობა, ოფლიანობა, ფიზიკური დატვირთვა, სტრესი, კონტაგიოზურობა - (საერთო საშხაპე, ყაზარმები, აუზები) კანის დაავადებების განვითარების ფაქტორებია, რის გამოც სამხედროები არიან რისკის შემცველი პოპულაცია. სამხედრო ფეხსაცმლის რეგულარული ხმარება ხდის ამ დაავადების განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობას და სამხედროებს გამოარჩევს სამოქალაქო პოპულაციისაგან.

### კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის ძალებში ამ დაავადების ფუნდამენტური შესწავლა და კომპლექსური ანალიზი; შეფასდა არის თუ არა ქართველ სამხედროებში ტერფის მიკოზის განვითარებისა და გავრცელების განსხვავებული მონაცემები სამოქალაქო პირებთან შედარებით, ასევე იმ ქვეყნებთან შედარებით სადაც ჩატარებულია მსგავსი კვლევები და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი.

### კვლევის ამოცანები

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ტერფის სოკოს კლინიკური, ლაბორატორიულად დადასტურებული ფორმების პრევალენტობისა და ეპიდემიოლოგიის მახასიათებლების განსაზღვრა საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებში; (ასაკთან, სამხედრო რანგთან, ნამსახურეობასთან, სამხედრო სამსახურის სახეობასთან, ჰიგიენურ და საყოფაცხოვრებო პირობებთან, სამხედრო ფეხსაცმლის ტარების

პერიოდთან დღის განმავლობაში და სამხედრო ფეხსაცმლის რაოდენობასთან კავშირი)

- კორელაციების განსაზღვრა ტერფის მიკოზსა რისკის ფაქტორებს შორის;
- ტერფის მიკოზის კლინიკური, ლაბორატორიულად დადასტურებული ფორმების პრევალენტობის განსაზღვრა თავდაცვის ძალების სამოქალაქო პირებში;
- სამხედრო და სამოქალაქო პირების მონაცემების შედარებითი ანალიზი;
- ქართველი სამხედროების მიკოზების მონაცემების შედარება სხვადასხვა ქვეყნების სამხედროების მიკოზების მონაცემებთან;
- ტერფის მიკოზის განვითარების რისკის შეფასება რეგრესიული ანალიზის საშუალებით;
- სამხედროებში ტერფის მიკოზის პრევალენტობის შემცირების გზების განსაზღვრა;

## კვლევის სიახლე

საქართველოში ტერფის მიკოზის განვითარებისა და გავრცელების შესასწავლად არასოდეს არანაირი კვლევა არ ჩატარებულა. შესაბამისად არ არსებობს ეპიდემიოლოგიური მონაცემები ამ დაავადების შესახებ.

ჩატარდა ფართომაშტაბიანი ეპიდემიოლოგიური კვლევა თავდაცვის ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში.

გამომდინარე იქედან რომ სამოქალაქო სექტორში ტერფის მიკოზის შესახებ ეპიდემიოლოგიური მონაცემის მოძიება ვერ მოხერხდა მისი არ არსებობის გამო, ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა სამოქალაქო საჯარო მოხელეებიც, რომლებიც დასაქმებულები არიან თავდაცვის სამინისტროში და მიღებული შედეგები შევადარეთ სამხედროებში ჩატარებული კვლევის შედეგებს.

## II სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

- ტერფის მიკოზით დაავადებულ პირთა ეპიდემიოლოგიური და კლინიკური მახასიათებლები, მისი ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დიაგნოსტირების და მკურნალობის თანამედროვე ასპექტები.

ფეხის სოკო საუკუნეებია არსებობს, იგი პირველად, 1888 წელს აღწერა Pellizar-მა (Pellizzari 1888), მოგვიანებით 1892 წელს ოტომანის ცნობილმა დერმატოლოგმა Djelaleddin-Moukhtar - მა პარიზში აღწერა ხელის დერმატომიკოზური ინფექცია, რომელსაც ტრიქოფიტოზი უწოდა. მის სახელთანაა დაკავშირებული აღნიშნული ინფექციის ეტიოლოგიის, დიფერენციალური დიაგნოზის ასპექტების, მკურნალობისა და პრევენციის საკითხების კვლევა. 1908 წელს Whitfield და Sabouraud - ის მოსაზრებით Tinea pedis გამოწვეულია tinea capitis ფორმით, რის გამოც ხდებოდა მისი არასწორი დიაგნოსტირება და მკურნალობა.(Merlin et al. 1999) ფეხის სოკოს ზუსტი დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია და განაპირობებს დაავადების მკურნალობის ეფექტურობას.

ტერფის მიკოზის ყველაზე ხშირი გამომწვევია *T. rubrum* - ანტროპოფილი, რომელიც პირველად აღმოაჩინა და აღწერა სემონ კასტელანმა 1910 წელს.(Castellani 1910) *T. Rubrum* იწვევს ქრონიკულ ინფექციებს და შეიძლება გავრცელდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილებზეც. ეს სახეობა XIX საუკუნის ბოლოს შეისწავლეს აღმოსავლეთ აზიის ენდემურ ზონაში, საიდანაც იგი მთელს მსოფლიოში გავრცელდა, როგორც ფეხის კანისა და ფრჩხილის მიკოზის მთავარი ეტიოლოგიური აგენტი. 1975 წელს, პორტუგალიაში, კორსიკასა, და სარდინიაში აღმოაჩინეს *T. Rubrum*-ის კიდევ ერთი სახეობა - *T.megnini*. . 2012 წელს მარტინესმა აღწერა *T. Rubrum*-ის 4 მონათესავე სახეობა (*T.equinum*, *T.tansurans*, *M.canis* და *M. gypseum*). *T.mentagrophytes* 1953 წელს, პირველად, ბლენკარმა მამაკაცის წვერის ფოლიკულებში აღმოაჩინა.(Robin 1853) ეს ჰეტეროგენული გამომწვევი მრავალ სახეობას შეიცავს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკოლოგიითა და გავრცელების ფორმებით. მანსპინძლის როლში გვხვდება როგორც ადამიანი, ასევე ცხოველი.(Beguin et al. 2012)(Gräser, Scott, and Summerbell 2008)(Heidemann, Monod, and Gräser 2010)

კანის სოკოვან დაავადებებს - დერმატომიკოზებს - უმარტივესი სპოროვანი კლასის წარმომადგენელი, პათოგენური მიკროორგანიზმი - სოკო იწვევს, რომელსაც გააჩნია კერატინის ათვისების უნარი.(Ameen 2010) დერმატოფიტებს მიეკუთვნება: *Microsporum*, *Trichophyton* და *Epidermophyton* სახეობის სოკოები.(Topley et al. 2005) გარემოს არჩევის, განვითარებისა და გამრავლების თავისებურებების გათვალისწინებით, დერმატოფიტებს სამ ეკოლოგიურ ჯგუფად ყოფენ, ესენია: ანტროპოფილები, ზოოფილები და გეოფილები.(Summerbell 2011) (Padhye & Summerbell, 2005; Summerbell, 2007;Summerbell&Weitzman,1995). ზოოფილური დერმატოფიტებია *Trichophyton mentagrophytes* v. *gypseum*, *Trichophyton verrucosum*, *Microsporum canis* და სხვა. მათი საარსებო გარემო ცხოველების ორგანიზმია. ანთროპოფილური სოკოებია *Trichophyton rubrum*, *Trichophyton mentagrophytes* v. *interdigitale*, *Microsporum ferrugineum*, *Epidermophyton floccosum* და სხვა. მათი წყარო ადამიანია. გეოფილური სახეობები (*Microsporum gypseum*) კი ნიადაგში ბინადრობენ. დერმატოფიტები მაღალკონტაგიოზურია ანუ ადვილად გადაეცემა ადამიანს, როგორც სხვა ადამიანისგან, ასევე ცხოველისგან ან ნიადაგიდან. ინფექციის ძირითადი გამავრცელებლები ანთროპოფილური სახეობებია, რომლებიც მრავლად გვხვდებიან ბუნებაში.

დღეისათვის ცნობილია პათოგენური სოკოს სამოცამდე სახეობა. ფეხის მიკოზის გამომწვევი დერმატოფიტები *Arthrodermataceae* კლასს ენათესავება, რომელიც ბოჭკოვანი სოკოს მონოციტურ დაჯგუფებას წარმოადგენს, ეს უკანასკნელი *Onygenales* და *Eurotiomycetes* კლასის სახით არსებობს. 2005 წელს Padhye & Summerbell - მა აღწერა სამი ანამორფული (უსქესო) სახეობა - ტრიქოფიტონი, მიკროსპორუმი და ეპიდერმაფიტონი. მან ასევე აღმოაჩინა დერმატოფიტი, რომელიც მრავლდება სქესობრივი გზით და კლასიფიცირდება, როგორც ტელემორფული სახეობა - არტროდერმა.(Weitzman and Summerbell 1995) აღსანიშნავია, რომ დერმატოფიტის ორივე ჯგუფი ახლო კავშირშია ერთმანეთთან.

1999 წლის შემდეგ მოხდა დერმატოფიტების კლასიფიკაციის მოდერნიზაცია. გაუმჯობესდა და გაღრმავდა ჩვენი ცოდნა მათ წარმოშობაზე გენეტიკურ

პოპულაციაში.(Abdel-Rahman 2008)(Gräser, Scott, and Summerbell 2008) ფეხის მიკოზის ორი ძირითადი გამომწვევია *T. Rubrum*, *T. Violaceum* და *T.interdigitale*. გამოყოფენ *T. Rubrum* რამდენიმე მორფოტიპს-“raubitschekii” და “megininii” ხოლო *T. Violaceum*-ის ბიოლოგიურად ეკვივალენტური ფორმებია: *T. gourvillii*, *T. soudanense* და *T. yaoundei*.(Gräser, Scott, and Summerbell 2008) *T.mentagrophytes* წარმოადგენს ანტროპოფილური და ზოოფილური სახეობებს. დადასტურებულია, რომ *T. mentagrophytes* სხვდასხვა შტამები არ განსხვავდება ერთმანეთისგან და ეკუთვნის *trichophyton interdigitale*-ს სახეობას, რომელიც ვრცელდება ფალანგთაშორის მიდამოებში. აღსანიშნავია, რომ ძირითადად განიხილება ორი დიდი ჯგუფი ტერფის სოკოს ეტიოლოგიურ ფაქტორებში: *T.rubrum* და *T.Interdigitale*.

ანტროპოფილური დერმატოფიტები ძირითადად ადამიანებში ვრცელდება. მართალია, ანტროპოფილები: *T. Rubrum*, *T. Interdigitale* და *T.floccosum* რჩებიან ფეხის სოკოს მთავარ გამომწვევებად,(Dhib et al. 2013)(Drakensjö and Chryssanthou 2011) თუმცა არის იშვიათი შემთხვევები, როცა ფეხის სოკოს გამომწვევები არიან ზოოფილები და გეოფილები და უფრო იშვიათად *T. Capitis*(Aly 1994)(Rippon 1985)(Seebacher, Bouchara, and Mignon 2008) 1960 წლის ბოლოს ანტროპოფილური გამომწვევები *T. Rubrum*, *T. Interdigitale* აღიარეს, როგორც ფეხის მიკოზის ძირითადი გამომწვევი, ხოლო *T. Capitis* იშვიათი გამომწვევი. დამატებით მოგახსენებთ, რომ ანტროპოფილი, *T.Interdigitale* ჩაანაცვლა *T. Rubrum*-მა, როგორც ფეხის სოკოს პირველადმა გამომწვევმა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ფეხის სოკოს ეს ორი გამომწვევი მიზეზი შეადგენდა ყველა დერმატოფიტის 80% - 1980 წელს, ხოლო 2005 წლის მონაცემებით 90% -ს .(Borman et al. 2007) დაახლოებით იგივე ტენდენციაა ფეხის სოკოს განვითარების ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში(Seebacher, Bouchara, and Mignon 2008) გერმანიაში, როგორც დერმატოფიტის გამომწვევი *T. Rubrum* გაიზარდა 41.7%-დან 1950წ(GOTZ 1952) 82.7%-მდე, 1993წ(Tietz, Kunzelmann, and Schönian 1995) მეცნიერულად არ არის დადასტურებული, თუ რატომ დომინირებს ეს ორი გამომწვევი ფაქტორი, სავარაუდოდ მათ ზრდას ხელს უწყობს განვითარებული ურბანიზმი, ცხოვრების სტილის რადიკალური ცვლილებები, საერთო ფიტნესის და სპორტი დარბაზების

ხელმისაწვდომობა(Borman et al. 2007) Seebacher et al. (2008)-ის მოსაზრებით *T.rubrum* ითვლება *T.pedis* და *T.unguium* - ის პრედომინანტურ გამომწვევად,(Seebacher, Bouchara, and Mignon 2008) საპირისპიროდ *T.floccosom*-ის გავრცელება შემცირდა 11-ჯერ 1980 (7.31) წლიდან 2000 (0.63) წლამდე დიდ ბრიტანეთში.(Borman et al. 2007). თუმცა, ირანის კვლევების მიხედვით, დერმატოფიტების პრედომინანტურ ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს *T.floccosom* 31.4%-ში. (მონაცემები აღებულია 1999-2001 წლების მიხედვით)(Falahati et al. 2003)

კლინიკური ფორმების მიხედვით კი ინტერდიგიტალური ტერფის მიკოზის ხშირი გამომწვევია როგორც *T. rubrum*, ასევე *T. mentagrophytes* და *E. floccosum*-იც. *Candida albicans* და ბაქტერია შეიძლება იყოს მეორადი პათოგენი. უმეტესად ქრონიკული ჰიპერკერატოზის გამომწვევია *T. rubrum*, ზოგჯერ *T. mentagrophytes* და *E. floccosum* და ასევე არადერმატოფიტული გამომწვევი. (*Scytalidium hyalinum* და *Scytalidium dimidiatum.*)(Johnson, n.d.) ორივე კლინიკური ფორმის - ანთებით/ვეზიკულურ და წყლულოვანი ტერფის მიკოზის ყველაზე ხშირი გამომწვევი კი არის ზოოფილური სოკო *T mentagrophytes.*(Braun-Falco et al. 2000)

დერმატოფიტული ინფექცია გამოწვეულია ანტროპოფილური ან უსქესო გამრავლების უნარის მქონე კონიდიათი, მაღალი ტემპერატურა, ტუტე ph და ჰიპერჰიდროზი ხელს უწყობს ამ ორგანიზმებით ინფიცირებას. მასპინძელში - კანის დაზიანება, მაცერაცია, იმუნოსუპრესია ქმნის ხელსაყრელ პირობებს. ყველაზე ხშირი დერმატოფიტული ინფექციები განპირობებულია ცხიმოვანი ჯირკვლების სეკრეტის ნაკლებობით, რომელიც ითვლება ამ ინფექციის ბუნებრივ ხელისშემშლელ ფაქტორად.(Brasch 2009)

დერმატოფიტები გამოიმუშავებენ სხვადასხვა ენზიმებს - ფერმენტებს (კერატინები, პროტეაზები, და ცისტეინის დიოქსიგენაზა) რომლებიც აზიანებს ზედაპირულ კერატინს.(Grumbt et al. 2013)(Mendez-Tovar 2010) კერატინოციტები წარმოადგენენ ფიზიკურ ბარიერს დერმატოფიტებისათვის და მონაწილეობენ კანის იმუნურ რეაქციაში (Tani et al. 2007) ისინი შეიცავენ რეცეპტორებს - როგორიცაა Toll-like

რეცეპტორები (TLRs) და dectin-1 რეცეპტორები, ეს უკანასკნელი გამოიმუშავებენ სხვადასხვა ციტოკინებს და ქემოაქტიურ ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ ანთებით რეაქციას როგორიცაა სიწითლე, შეშუპება და ა.შ(Fritz, Beck-Jendroschek, and Brasch 2012) კერატინოციტები გამოიმუშავებენ აგრეთვე ანტიმიკრობულ პეპდიდებს რომლებიც იცავს კანს ფუნგალური ინვაზიისაგან.(Brasch 2009)(López-García, Lee, and Gallo 2006) ამ ფერმენტების გამომუშავება შემცირებულია ატოპიური დერმატიტით დაავადებულ პაციენტებში, რომლებსაც ხშირად აღენიშნებოდათ დერმატოფიტული ინფექციები. (p>0.05)(Hamnerius, Berglund, and Faergemann 2004)

ქემოტაქსისის ფაქტორები - ნეიტროფილები და მონოციტები ანთებითი ფაგოციტები არიან, რომლებიც გამოიმუშავებენ ციტოკინებს, აგრეთვე სუპეროქსიდებს, წყალბადის პეროქსიდაზას. ისინი აზიანებენ პროტეინებს, ლიპიდებს, უჯრედის მემბრანას და არღვევენ ფაგოციტოზის პათოგენეზს.(Brasch 2009) *T. rubrum* ამცირებს ლიმფოპროლიფერაციულ პასუხს. ლოკალური სოკოვანი ინფექციები გამოიმუშავებენ ანტისხეულებს და ააქტივებენ T ლიმფოციტებს, რომლებიც იწვევენ ანთებით რეაქციებს.(Mendez-Tovar 2010)

დასწებოვნება ხდება დაავადებულ ადამიანთან ან მის ნივთებთან (ფეხსაცმელი, წინდები, თეთრეული) კონტაქტით. ტერფის სოკოთი დაავადებული ადამიანის აქტიული კანი ხვდება იატაკზე, ფეხის საწმენდ პირსახოცზე, ღრუბელსა და ტერფის მოსავლელ საგნებზე, შემდეგ კი ამ საგნებიდან (თუ მათ დეზინფექცია არ ჩაუტარდა) ინფექცია სხვას გადაედება. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია ოფლიანობა, მიკროტრავმები (მანიკიურის და პედიკური გაკეთების, ვიწრო ფეხსაცმლის ტარების დროს), ბრტყელტერფიანობა, ჰიგიენის წესების დაუცველობა, ენდოკრინული სისტემის ფუნქციისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, იმუნური რეაქტიულობის დაქვეითება, ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დარღვევები და ა.შ.

ტერფის სოკოვანი დაავადება განსაკუთრებით ხშირდება და მწვავდება ზაფხულში, ზამთარში კი განიცდის რემისიას, თუმცა გამომწვევი სოკო კვლავ ბუდობს კანზე და მისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნის დროს კვლავ აქტიურდება.(Lakshmiipathy and Kannabiran 2010) კანის დაავადებებისა და მათ

შორის სოკოვანი დაავადებების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კანის დაზიანების არსებობა. კანზე გარედან უამრავი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორისაა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები. დაზიანების მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა ულტრაიისფერი სხივები და საყოფაცხოვრებო ქიმიური ნივთიერებები.(Nenoff et al. 2014) სოკოვანი დაავადების განვითარება დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: სოკოს ზრდის სისწრაფესა და დაზიანებული კანის ეპიდერმისის აქერცვლის ინტენსივობაზე. თუ სოკოს ზრდის ინტენსივობა სჭარბობს აქერცვლის ინტენსივობას, ვითარდება დაავადება, ხოლო თუ ეპიდერმისის აქერცვლა აჭარბებს სოკოს ზრდის ინტენსივობას, დაავადება შესაძლებელია არც განვითარდეს. ტერფის მიკოზი სხეულის სხვადასხვა მიდამოებში დერმატოფიტოზის განვითარების წყაროა, მათ შორის შეიძლება იყოს ონიქომიკოზის განვითარების მიზეზი.(Ilkit and Durdu 2015) ამერიკაში ჩატარებული კვლევის თანახმად ტერფის მიკოზის თანაარსებობა ონიქომიკოზთან 73.07%(Szepietowski et al. 2006), აგრეთვე ტოკიოში(Szepietowski et al. 2006) და ტუნისში ჩატარებული კვლევები(Dhib et al. 2013) ამტკიცებს ჰიპოთეზას, რომ ფრჩხილების დასწებოვნება გამოწვეულია ტერფის მიკოზიდან.

კანისა და ფრჩხილების სოკოვანი ინფექციები მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული და მათი გავრცელების სიხშირე ყოველდღიურად იზრდება. დაავადების ძირითადი გამომწვევი აგენტები დერმატოფიტებია და მათი გეოგრაფიული განაწილება ცვალებადია. ეს აისახება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დერმატოფიტოზის გავრცელების განსხვავებულ მონაცემებით. დერმატოფიტის ინფექციის ეპიდემიოლოგია შეიცვალა მიგრაციის, ცხოვრების წესის, მედიკამენტური თერაპიისა და სოციოეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად, რაც განაპირობებს დერმატოფიტოზული ინფექციის გლობალურ გავრცელებას.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ფეხის სოკოს განვითარება და გავრცელება არ არის დამოკიდებული რასასა და ეთნიკურ ჯგუფზე.(Götz and Hantschke 1965)(Ilkit et al. 2005)(Lacroix et al. 2002)(Noguchi et al. 1995)(Triviño-Duran et al. 2005) აღსანიშნავია რომ დაავადება უფრო ხშირად უვითარდებათ მამაკაცებს ვიდრე ქალებს. მისი გავრცელება იზრდება ასაკის მატებასთან

ერთად, განსაკუთრებით მოზრდილები 31-60 წლამდე.(Drakensjö and Chryssanthou 2011) შედარებით ნაკლებია 60 წლის ზევით (Szepietowski et al. 2006) და იშვიათად ვითარდება ბავშვებში. (Andrews and Burns 2008) და განვითარებულ ქვეყნებში უფრო არის გავრცელებული ფეხის მიკოზი.(Borman et al. 2007)

ბავშვებში დაავადების განვითარებას განაპირობებს 3 ძირითადი წყარო: 1-ოჯახი, 2-სკოლა, 3-აუზი. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა რომ პრევალენტობა ფეხის მიკოზის 11-14 წლამდე ბიჭებსა და გოგონებში იყო 6.6 % და 1.6 %. ხოლო 7-10 წლამდე ბავშვებში 2.2%. სხვა ლიტერატურული მონაცემების მიხედვით კი ტერფის მიკოზის გავრცელება იყო (2.8%) *tinea capitis* (0.23%). კვლევა ჩატარდა 3-დან 15 წლამდე ბავშვებში.(Triviño-Duran et al. 2005)

ბრაზილიაში 12 წლამდე ბავშვებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 590 მონაწილიდან, 210 შემთხვევაში გამოვლინდა დერმატოფიტოზის დიაგნოზი. მათგან 153 იყო *tinea capitis* შემთხვევა, რომელიც გამოწვეული იყო *t.tonsurans* - ით. 48 შემთხვევა *tinea corporis* - მათგან 17 შემთხვევა გამოწვეული *t.tonsurans* - ით. ტერფის მიკოზი დაფიქსირდა 6 შემთხვევაში რომელიც გამოწვეული იყო *trichophyton rubrum*-ით.(Cortez et al. 2012)

კორეაში გამოიკვლიეს ფეხის მიკოზის გავრცელება 3 თვიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვებში. დაავადებულთა 86% ანამნეზში აისახა სოკოს ოჯახური ისტორია. გამოვლინდა, რომ ბავშვებში ყველაზე ხშირი პათოგენი იყო *trichophyton rubrum* (69.2%), ხოლო ონიქომიკოზი დაფიქსირდა 33.3% შემთხვევაში. კვლევამ აჩვენა რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებში ოჯახურ ანამნეზს და აუცილებელია მოვახდინოთ ტერფის მიკოზის დიფერენციალური დიაგნოზი სხვა დაავადებებისაგან. (Jang et al. 2000)

ანალოგიური კვლევა ჩატარდა ისრაელში, სადაც 5-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებში ტერფის მიკოზის გავრცელების მიზეზები შეისწავლეს. ამისათვის 1148 ბავშვი გამოიკვლიეს 7 სხვადასხვა სკოლიდან, რომლებიც ავსებდნენ სპეციალურ კითხვარს, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას საცხოვრებელი პირობების, ჰიგიენისა და სხვა საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ. დადგინდა, რომ დადასტურებული ტერფის

მიკოზის შემთხვევებიდან 68%-ში აქაც ძირითადი გამომწვევი აღმოჩნდა *trichophyton rubrum*.(Leibovici et al. 2002)

თურქეთში ჩატარებულმა ჯვარედინმა სექციურმა კვლევამ 6-14 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში გამოავლინა *tinea pedis* გავრცელების დაბალი მაჩვენებელი. 785 ბავშვიდან 9-ს დაუდასტურდა *tinea pedis* ხოლო 4 შემთხვევაში დიაგნოსტირდა ონიხომიკოზი.(İnanir et al. 2002)

სხვადასხვა კვლევებმა გამოავლინა მაღალი რისკის მქონე ჯგუფები, სადაც საკმაოდ მაღალია ინფიცირების რისკი. მაგალითად - მიკოლოგიურად დადასტურებული ფეხის სოკო მაღაროელებში აღმოჩნდა 72.9% შემთხვევაში(Götz and Hantschke 1965), მეჩეთში მოსიარულე მრევლში დაავადების პრევალენტობა იყო 29.5%(Ilkit et al. 2005) სამხედროებში -58% (Noguchi et al. 1995) სპორტსმენებში კი - 31%. *t. pedis* გავრცელების გამოსავლენად იაპონიაში ჩატარდა კვლევა საცურაო აუზებში. კვლევაში მონაწილეობდა 282 სპორტსმენი, 137 არა სპორტსმენი და 140 სტუდენტი რომლებიც დადიოდნენ საცურაო აუზზე. შედეგებმა აჩვენა რომ სპორტსმენებში დაფიქსირდა დაავადების მაღალი პრევალენტობა და დერმატოფიტების 85 % გამოწვეული იყო *t. mentagrophytes* პათოგენით.(Brown and McLarnon 2007) ზემოთ აღნიშნულ სპეციფიურ პოპულაციებში ამ დაავადების გავრცელების ხელშემწყობის პირობაა ოფლიანობა, ტრავმა, დახურული ფეხსაცმელი, კონტაგიოზურობა და ა. შ.(Field and Adams 2008) ერთ-ერთმა კვლევამ(Szepietowski et al. 2006) გამოავლინა რომ თანდართული ტერფის მიკოზი ონიქომიკოზთან ერთად აღენიშნებოდა 33,8% -ს. ავტორები ამ კვლევაში აღნიშნავდნენ რომ *T. interdigitales* ქვეტიპი იყო ყველაზე ხშირი (65,4 %) ტერფის მიკოზით დაავადებულთა შორის.

კანადელმა მეცნიერებმა კვლევა ჩატარეს მარათონის მონაწილეებთან. კვლევაში მონაწილე 405 ადამიანიდან 22% აღმოაჩნდა ტერფის მიკოზი. მამაკაცებში ინფექციის გავრცელება იყო 24.2 % და ქალებში 6.1 %. *trichophyton rubrum* და *t. mentagrophytes* იყო დაავადების ძირითადი პათოგენი.(Auger et al. 1993)

საინტერესო შედეგი აჩვენა ბრაზილიაში ფეხბურთელებში ჩატარებულმა კვლევამ, სადაც გამოიკვლიეს 83 ბრაზილიელი სპორტსმენი, 22 ჩინელი და 24 ბრაზილიელი არა სპორტსმენი. მიკოლოგიურმა და ჰისტოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა რომ ბრაზილიელ ფეხბურთელებში იყო დაბალი მაჩვენებელი t. pedis. რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო მათი სამედიცინო განათლების მაღალი დონითა და ჰიგიენური ნორმების დაცვით.(Purim, Bordignon, and Queiroz-Telles 2005)

ესპანეთში ჩატარებულმა კვლევამ მოზრდილებში ტერფის მიკოზის გავრცელების დაბალი სიხშირე გამოავლინა,(Perea et al. 2000) თუმცა სპორტმენებში მისი გავრცელება გაცილებით მაღალი იყო. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი კვლევა, რომელიც ჩატარდა სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტებში ფეხის მიკოზის გავრცელების რისკის შეფასების მიზნით. კვლევა ჩატარდა დიაბეტით, ფსორიაზითა და სისხლძარღვთა დაავადებებით დაავადებულ პაციენტებში. კვლევამ აჩვენა რომ თანმხლები დაავადებები მოქმედებდნენ ფეხის მიკოზის გავრცელებაზე.(Legge, Grady, and Lacey 2014)

კანადაში ჩატარდა კვლევა უსახლკაროებში ფეხის დაავადებების გამოსავლენად. კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ უსახლკაროების დიდი ნაწილი იყო დაავადებული ტერფის მიკოზით. გამოკვლეულ 930 უსახლკაროდან 38% დაუდგინდა t.pedis დიაგნოზი.(Purim, Bordignon, and Queiroz-Telles 2005)

კვლევების ანალიზით ჩანს რომ ტერფის მიკოზის გავრცელება ბავშვებში მოზრდილებთან შედარებით ძალიან დაბალია. მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით მკაფიოდ შეიძლება გამოვყოთ ამ დაავადების რისკ-ჯგუფების მქონე პოპულაციები: ფეხბურთელები, მაღაროელები, სამხედროები, მოცურავეები, უსახლკაროები.

დაავადების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებს: ტერფების ჭარბ ოფლიანობას, ოფლის ქიმიურ შემადგენლობას, ბრტყელტერფიანობას, ორგანიზმის საერთო და ნერვული სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას.

არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით (Leite et al. 2014)(Şenel, Doğruer Şenel, and Salmanoğlu 2015)(Zhou, Liu, and Zhang 2017)(Biljan and Pavic 2018) დასტურდება, რომ სამხედროებში ტერფის მიკოზის გავრცელება გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე სამოქალაქო სექტორში, რაც განპირობებულია იმ რისკ ფაქტორებით, რომლითაც სამხედროები განსხვავდებიან სამოქალაქო პირებისაგან.

ჩვენს მიერ მოპოვებული ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ სამხედრო მოსამსახურეებში დაავადებების ყველაზე ხშირ ნოზოლოგიებად გვხვდება კანის დაავადებები, სასუნთქი გზების ინფექციები და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები. ამას ადასტურებს ნორვეგიაში – ოსლოს სამხედრო ჰოსპიტალში ჩატარებული კვლევის ანალიზი, რომლის მიხედვითაც 1360 პაციენტიდან ზემო სასუნთქი გზების ინფექციური დაავადებები იყო 26%, ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადებები - 21%, ხოლო კანის დაავადებები - 16 %. (E.Selvaag 2000) გამომდინარე სამხედროების რეჟიმიდან - იგულისხმება ფიზიკური დატვირთვა, სტრესი, ოფლიანობა, კონტაგიოზურობა, საერთო საშხაპეები და ყაზარმები, დახურული ტანსაცმლის ხმარება, სამხედრო ფეხსაცმლის ხანგრძლივი დროით დღის განმავლობაში ტარება - სამხედროებს აყენებს კანის დაავადებების გავრცელების რისკ ჯგუფში. კვლევებმა გამოავლინა კორელაცია სამხედრო ნაწილების სახეობებს, სამხედრო რანგსა და ტერფის მიკოზის პრევალენტობას შორის. ქვეითებში და დაბალი რანგის სამხედროებში მაღალი იყო დაავადების გავრცელების მაჩვენებელი.

ისრაელში სამხედრო მოსამსახურეებში ტერფის მიკოზის გავრცელებისა და რისკ ფაქტორების გამოსავლენად ჩატარებული კვლევის დროს 223 სამხედრომ შეავსო კითხვარი, რომლის დროსაც გამოავლინდა რისკის შემცველი ჯგუფები და ყველა მათგანს ჩაუტარდა შესაბამისი ლაბორატორული კვლევა. გაირკვა, რომ დაავადების კლინიკური პრევალენტობა იყო 60.1%, ხოლო ლაბორატორიულად დადასტურდა 27.3%-ში. უნივარიაციული ანალიზის მიხედვით ტერფის მიკოზის გავრცელება საწყისი მომზადების ბაზებში იყო 70.3%, ქვეითებში - 81.5%, ტანკისტებში - 56.4%, ხოლო ოფიცრებში - 34.8%. დაავადების გავრცელება დაკავშირებული იყო სქესთან

(მამაკაცებში), პირად ჰიგიენასთან (წინდების გამოცვლის სიხშირესთან, წინდებით ძილი,) და სამხედრო სამსახურში მსახურობის პერიოდთან. ამ კვლევამ დაადასტურა რომ ტერფის მიკოზის გავრცელება ისრაელ სამხედროებში ძალიან მაღალია.(Cohen et al. 2005)

სამხედროებში ფეხის სოკოვანი დაავადების პრევალენტობისა და ეტიოლოგიური აგენტის გამოსავლენად კლინიკო-მიკოლოგიური კვლევა ჩატარდა ალჟირში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 650 სამხედრომ. თითოეული მათგანიდან აღებული იქნა შესაბამისი მასალა. გამოვლინდა, რომ ფეხის სოკოვანი დაავადება კლინიკურად დადასტურდა 147 შემთხვევაში, ხოლო ლაბორატორული კვლევის დადებითი შედეგი დაუგდინდა 119 სამხედრო მოსამსახურეს. მკვლევარებმა საკვლევი პირები დაყვეს სამხედრო წოდებისა და სამხედრო სამსახურში მსახურობის პერიოდის მიხედვით და აღმოჩნდა: სოკოვანი ინფექციის პრევალენტობა უფრო მაღალი იყო რიგითებში და რეკრუტებში, ვიდრე ოფიცრებში. რაც შეეხება ეტიოლოგიურ აგენტს შემთხვევათა 20.9% -ში გამომწვევი იყო *Trichophyton rubrum*, 18.7%-ში კი *Candida parapsilosis*. კვლევის ანალიზმა აჩვენა რომ ალჟირის სამხედრო მოსამსახურებში ტერფის ზედაპირული ინფექციებს შორის 68 % მოდის ტერფის მიკოზზე.(A. Djeridane, Djeridane, and Ammar-Khodja 2007)აღნიშნული კვლევის მიხედვით ტერფის მიკოზის პრევალენტობა კავშირშია სამხედროში მსახურობის პერიოდთან.

ანალოგიური კვლევა ჩატარდა იაპონიის შეიარაღებულ ძალებში. გამოკვლეულ იქნა 74 სამხედროსაგან შემდგარი 3 საკვლევი ჯგუფი, რომლებიც გადიოდნენ სპეციალურ სამხედრო სამსახურს: I ჯგუფში იყო 10 სამხედრო, II ჯგუფში - 34 სამხედრო, ხოლო საკონტროლო ჯგუფში 30 სამხედრო. ტერფის მიკოზის პრევალენტობა იყო 66%. კვლევის შედეგად III საკონტროლო ჯგუფში ტერფის მიკოზის პრევალენტობა შეადგენდა 90 %-ს. ასევე გამოავლინდა მნიშვნელოვანი კორელაცია სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობასა და დაავადების პრევალენტობას შორის. სამხედროებს რომელთაც ნამსახურება 10 წელზე მეტი იყო ტერფის მიკოზის შემთხვევების მაღალი მაჩვენებელი დაუფიქსირდათ.(Noguchi et al. 1995)

თურქეთის, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში, მკვლევარებმა კანის დაავადებების გავრცელების თავისებურების გამოვლენის მიზნით შეამოწმეს სამხედრო მოსამსახურეები და მიღებული შედეგები შეადარეს სამოქალაქო სექტორში არსებულ კანის დაავადების გავრცელების მონაცემებს. სამხედრო ნაწილის ადგილმდებარეობა გამოირჩეოდა მაღალი ტემპერატურითა და ტენიანობით. კვლევა ჩატარდა ზაფხულში. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი იყო: - ასაკი 20 დან 22 წლამდე, ნამსახურეობა 1 თვიდან 1 წლამდე. სამხედროებმა შეავსეს კითხვარები, რის შედეგადაც გამოვლინდა 188 სამხედრო, რომელიც უჩიოდა 36 სახეობის დერმატოლოგიური დაავადებას, მათ შორის ტერფის მიკოზის პრევალენტობა სამხედროებში იყო 25.5% ხოლო სამოქალაქო სექტორში 0.72%. დისპიდროზული ეგზემა 18.6% სამხედროებში, ხოლო 0.6% სამოქალაქო სექტორში. მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ კანის დაავადებების გავრცელება სამხედროებში სამოქალაქო საავადმყოფოების მონაცემებთან შედარებით ძალიან მაღალია.(Sasmaz and Celik 2011a)

მსგავსი შედეგი მიიღეს თურქმა მკვლევარებმა, როდესაც პროსპექტულად აიღეს სამხედრო ჰოსპიტლის სტატისტიკური მონაცემი და შეადარეს სამოქალაქო სექტორის მონაცემებს. ამისათვის თურქეთის სამხედრო ჰოსპიტალში შეისწავლეს 3382 შემთხვევა. (1148 სამხედრო, 2234 სამოქალაქო პირი) შედეგად გამოვლინდა ტერფის მიკოზის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამხედროებში (15.8%), ხოლო სამოქალაქოებში 4.4%. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ჯარში საჭიროა პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.(Şenel, Doğruer Şenel, and Salmanoğlu 2015)

როგორც ცნობილია სამხედროები აქტიურად მონაწილეობენ სამშვიდობო მისიებში, რაც დამატებით ხელშემწყობი პირობაა კანის დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით. ჩინელმა მკვლევარებმა დერმატოლოგიური დაავადებების გამოვლინების მიზნით შეისწავლეს ლიბიაში სამშვიდობო მისიაში ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედროები. კვლევა იყო პროსპექტული, მასში ჩართული იყო 1658 სამხედრო, მათი 62 % იყო აზიელი. დადგინდა, რომ დერმატიტი და ეგზემა იყო წამყვანი ნოზოლოგია (27%), ხოლო ტერფის მიკოზი დაფიქსირდა 13 %-ში,

რომელიც ძირითადად გამოვლინდა ტროპიკულ რეგიონებში.(Zhou, Liu, and Zhang 2017) აშშ-ის მეცნიერების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში 1965 - 2014 წლებში ჩატარებული კვლევების ანალიზის თანახმად სამხედროების ყველაზე ხშირი კანის დაავადებები იყო მეჭეჭი 10.7%, სოკოვანი ინფექცია 10.4%, აკნე 9.0%, ეგზემა 7.1%-ში. აღსანიშნავია რომ ცხელი და ნოტიო კლიმატი ვიეტნამში, აღმოსავლეთ ტიმორში კავშირში იყო ბაქტერიულ და სოკოვან ინფექციებთან, ხოლო მშრალი კლიმატის პირობებში - ბოსნიაში, ერაყში უფრო ჭარბობდა კანის ეგზემატოზური დაზიანებები.(Gelman et al. 2015)

საინტერესო კვლევა ჩატარდა აფრიკაში ქ. აბიდიანის პოლიციელებში, სადაც შეისწავლეს ტერფის მიკოზის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები. კვლევაში მონაწილე 303 პოლიციელიდან 233 (76.9%) შემთხვევაში მიკოლოგიურად დადასტურდა სოკო. გამომწვევები აღმოჩნდა *Trichopyton interdigitale* (40.3%), *Microsporum langeronii* (30.0%) და *Trichophyton rubrum*. (15.5%)(Kiki-Barro et al. 2017) ხოლო სინგაპურში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველ 100 სამხედროში 24.5 შემთხვევა იყო დერმატოლოგიური პროფილით. მათგან სოკოვანი ინფექცია 6.7 შემთხვევაში.(Gan, Low, and Koh 2013)

ხორვატიაში ჩატარდა კვლევა, რომლის დროს შეისწავლეს 1991-1992 წლების ომის დროს სამხედროებში ტერფის დაავადებების გავრცელების სიხშირე. კვლევაში ჩართული 2002 სამხედროდან 1702 აქტიურად იყო ჩართული საბრძოლო მოქმედებებში, ხოლო მეორე ჯგუფი შედგებოდა 300 ახალწვეულისაგან. პირველი ჯგუფიდან 832 (49%) შემთხვევაში იქნა დადასტურებული დერმატომიკოზი, ამათგან 170 სამხედროს მანამდეც ჰქონდა ჩივილები, ხოლო 662 სამხედროს (39%) ჩივილები დაეწყოთ ომის პერიოდში. საკონტროლო ჯგუფში, რომელშიც შედიოდა 300 რეკრუტი დაფიქსირდა დერმატომიკოზის მხოლოდ 30 შემთხვევა (10%).(Biljan and Pavic 2018)

დანიაში სამხედრო სამსახურის დაწყებამდე კლინიკურად და მიკრობიოლოგიურად ტერფის მიკოზზე შეამოწმეს 665 რეკრუტი. მათგან 546 ხელახლა გადამოწმდა სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ. კლინიკური ნიშნები

დერმატოფიტული ინფექციისა იყო 6.2% რეტროსპექტულად მეორე შემოწმების დროს 7.0%. ტერფის მიკოზის შემთხვევა 15% - ში, ხოლო 9 თვიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ 50% შემთხვევაში დაფიქსირდა ამ დაავადებით ავადობა.(Svejgaard, Christophersen, and Jelsdorf 1986b) მეორე მსგავსი კვლევა ჩატარეს, რომლის დროსაც სამხედრო სამსახურის დაწყებამდე შეფასდა 73 სამხედრო და ხელმეორედ შეამოწმეს 6 თვიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ. აღმოჩნდა ტერფის სოკოვანი ინფექციების პრევალენტობა იყო 16.4%, ხოლო 32.3 % სამხედრო სამსახურის შემდეგ. პირველი შემოწმების დროს *T. rubrum* და *T. mentagrophytes* იყო დომინანტი პათოგენები, ხოლო ხელმეორედ შემოწმებისას ძირითადი გამომწვევი *Candida albicans* აღმოჩნდა.(Brooks et al. 1999) ტერფის მიკოზის საკმაოდ მაღალი პრევალენტობა აღმოჩნდა ბრაზილიასა და კორეაში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევების მიხედვით. ბრაზილიაში ჩატარებულ კვლევაში 221 სამხედროდან 44.8%-ს აღმოაჩნდა დერმატიფიტული ინფექცია 3 გენერაციით: *T. rubrum*-33.3%, *T.tonsurans*-- 13.1% და *T.mentagrophytes* - 6.1 %. (Leite et al. 2014) კორეაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ კორეის სამხედრო მოსამსახურეებში კანის დაავადების გავრცელება ძალიან მაღალია. კერძოდ - 1321 სამხედროდან 798 (60.4%) აღმოაჩნდა ერთი ან ორი სახის კანის დაავადება. სამი ყველაზე ხშირი დაავადება იყო აკნე (35.6%) ტერფის მიკოზი(15.2%) და ატოპიური დერმატიტი (5.1%).(Bae et al. 2012)

ჩვენს მიერ მოძიებულ მხოლოდ 2 შრომაში იყო სამხედროებში ჩატარებულ კვლევებში ტერფის მიკოზის გავრცელების დაბალი მაჩვენებელი. იტალიელ სამხედრო საზღვაო ძალებში შემოწმებულ იქნა 18-30 წლამდე ასაკის 1024 კადეტი, მათ შორის 975 (95.21%) მამაკაცი და 49 (4.79%) ქალი. კვლევებით გამოვლინდა კლინიკო-ლაბორატორულად დადასტურებული ტერფის მიკოზის მხოლოდ 33 (3.2%) შემთხვევა, ხოლო ონიქომიკოზი დადასტურდა 2 (0.2%) შემთხვევაში.(Ingordo et al. 2004) თითქმის ანალოგიური შედეგები მიიღეს პაკისტანში ჩატარებული ჯვარედინი კვლევის შედეგად, რომლის დროსაც შემთხვევითი შერჩევით 350 ადამიანიდან, კლინიკურად მხოლოდ 34 სუბიექტს (9.71%) აღენიშნებოდა ტერფის სოკო და ლაბორატორულად დადასტურდა მხოლოდ 10 შემთხვევაში (2.8%).(Mujahid, Mehmood, and Satti 2013)

კვლევების ანალიზით ჩანს, რომ ტერფის მიკოზის გავრცელება სამხედროებში ძალიან მაღალია სამოქალაქო სექტორის მონაცემებთან შედარებით. ამ სპეციფიურ პოპულაციაში დაავადების გავრცელების ხელშეწყობის პირობებია ოფლიანობა, ტრავმა, კონტაგიოზურობა, ჰიგიენური ნორმების დაუცველობა, საერთო საშხაპეები, ყაზარმები და რაც ყველაზე მეტად გამოარჩევს სამხედროს სამოქალაქო პირიდან ეს არის სამხედრო ფეხსაცმლის ინტენსიური, ხანგრძლივი დროით ტარება.

ტერფის მიკოზის კლინიკური სურათი მრავალფეროვანია. ხშირად დაავადება უსიმპტომოდაც მიმდინარეობს და აღმოაჩენენ იმ დროს, როცა პაციენტს სამედიცინო ცნობა დასჭირდება ან თავს იჩენს ესთეტიკური პრობლემები, სხვადასხვა ინტენსივობის ქავილი. თუ სოკოვან ინფექციას ბაქტერიული ინფექციაც დაერთო, ვითარდება კანის ანთება, შეშუპება და ტკივილი.

განასხვავებენ ტერფის ეპიდერმოფიტიის 4 კლასიკურ ფორმას: წაშლილს, სქვამოზურს (აქერცვლით მიმდინარეს), ინტერტრიგინოზურს (ნაოჭთაშორისს), დისპიდროზულს (სითხის შემცველი ბუშტუკებით მიმდინარეს). ცალკე განიხილავენ ფრჩხილების სოკოვან დაავადებას-ონიქომიკოზს.

წაშლილი ფორმის დროს კლინიკური სურათი მწირია. ფეხის მე-4 და მე-5 თითებს შორის არსებულ ნაოჭებში კანი ოდნავ იქერცლება. ზოგჯერ ჩნდება ზედაპირული ნაპრალები. სკვამოზური ჰიპერკერატოზული ფორმის დროს ფეხისგულებზე, თაღების მიდამოში, აღინიშნება მშრალი მოლურჯო-მოწითალო ბრტყელკვანძოვანი ელემენტები. გამონაყარის ზედაპირი, განსაკუთრებით - შუაგულში, მონაცისფრო-მოთეთრო ქერცლით არის დაფარული. კვანძები დაუზიანებელი კანიდან მკაფიოდ არის შემოსაზღვრული. ზოგჯერ ერთეული ბუშტუკებიც ჩნდება. გამონაყარი შესაძლოა მთელ ფეხისგულზე გავრცელდეს. აქერცლილ კერებთან ერთად შესაძლოა წარმოიქმნას ზედაპირული ნახეთქების მქონე მოყვითალო ჰიპერკერატოზული (მომეტებულად გარქოვანებული) უბნები. ინტერტრიგინოზული ფორმის დროს ზიანდება ნაოჭები ფეხის II, IV და V თითებს შორის. დაავადებას ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული სიწითლე, შეშუპება, სისველე და მაცერაცია. ხშირად ამ სიმპტომებს თან ერთვის ეროზიაც.

ნახეთქები ზოგჯერ ღრმა და მტკივნეულია. დისპიდროზული ფორმა ვლინდება მრავლობითი ბუშტუკოვანი ელემენტით. ისინი უმეტესად ფეხისგულებზე ჩნდება, იშვიათად - ტერფის სხვა არეებზე, თითებს შორის ნაოჭებსა და თითებზეც. ბუშტუკების შეერთებისას წარმოიქმნება მრავალკამერიანი ბუშტუკები, რომელთა გახეთქვის შემდეგ ჩნდება სველი, წითელი ეროზიული ელემენტები. თანდართული ანთება იწვევს შეშუპებას, სიწითლეს, რაც ზოგჯერ ეგზემის მსგავს სურათს წარმოქმნის.(Refai and El-Yazid 2013)

დერმატოფიტიების კიდევ ერთი წარმომადგენელია რუბროფიტია ანუ რუბრომიკოზი - სოკოს განსაზღვრული სახეობით გამოწვეული დაავადება. ის აზიანებს მსხვილ ნაოჭებს, ხელისგულებისა და ფეხისგულების კანს, ფრჩხილებს. დასწებოვნება შესაძლოა მოხდეს აბანოში, აუზზე, სამხაპეში, პლაჟზე. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ჭარბი ოფლიანობა, პირადი ჰიგიენის დაუცველობა, ენდოკრინული სისტემისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, ორგანიზმის იმუნოლოგიური რეაქტიულობის დაქვეითება. რუბროფიტიის დროს კანის ზედაპირი მშრალია და წვრილი ქერცლით არის დაფარული. დაზიანება ზოგჯერ თითებს შორის ნაოჭებშია ლოკალიზებული, ზოგჯერ კი ტერფების გვერდით ზედაპირებზეც ვრცელდება. ეპიდერმოფიტიის მსგავსად, რუბროფიტიაც იწყება წაშლილი ფორმით, რომელიც თანდათან პროგრესირებს და უფრო აქტიურ კლინიკურ გამოვლინებად ტრანსფორმირდება. პროცესში, წესისამებრ, ფრჩხილებიც ერთვება. ეპიდერმოფიტიის დროს უპირატესად I და II თითების ფრჩხილის ფირფიტები ზიანდება, რუბროფიტიის დროს კი ყველა.(Goldstein and Goldstein 2017)

ზოგიერთი ავტორი (Ilkit and Durdu 2015) გამოყოფს ტერფის მიკოზის ანუ როგორც ხშირად მოიხსენიებენ „ათლეტის ფეხის“ სამ კლინიკურ ფორმას; ინტერდიგიტალურ, პლანტარულ (მოკასინის) და ვეზიკულობულოზურს. Sariguzel et al. მიხედვით კი არსებობს ტერფის მიკოზის 4 კლინიკური ფორმა: 1. ინტერდიგიტალური; 2. ანთებითი (ვეზიკულარული); 3. ქრონიკული ჰიპერკერატოზული (მოკასინის) და 4. წყლულოვანი. ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა ინტერდიგიტალური კლინიკური ფორმა, რომლის ძირითად გამომწვევად გვევლინება T. rubrum ანტროპოფილიკი კერძოდ - T.

interdigitale. (Havlickova, Czaika, and Friedrich 2008) ტერფის მიკოზის რისკ ფაქტორებია: თბილი ტენიანი გარემო, სპორტული აქტივობა და ჰიპერჰიდროზი.(Caputo et al. 2001) კლინიკურად ინტერდიგიტალური ტერფის მიკოზი ხასიათდება თითებშუა ერითემით, აქერცვლით და კანის ნახეთქით. ყველაზე ხშირად ზიანდება მე-4 და მე-5 თითებშუა არეები. ამ ტიპის ტერფის მიკოზს უწოდებენ მარტივ დერმატოფიტოზს. დაავადების სიმპტომებია: ქავილი, წვა და უსიამოვნო სუნი. ძირითადად ტერფის უკანა ზედაპირი არ არის დაზიანებული, თუმცა პლანტარული მიდამო შეიძლება ჩაერთოს პროცესში. თუ შეცდომით ტერფის მიკოზის მკურნალობა მიმდინარეობს კორტიკოსტეროიდებით, რომლებიც იწვევენ მასპინძლის იმუნური პასუხის შესუსტებას ვითარდება ანთებითი პროცესისა და ქავილის დათრგუნვა, თუმცა ეს იმუნოსუპრესიული პროცესები ხელს უწყობენ სოკოვანი ინფექციის გავრცელებას. (tinea incognito) (Yu, Zhou, and Liu 2010) Brenner et al., 1994 კვლევებით მარტივი ინტერდიგიტალური და მოკასინის ფორმის დროს *T. rubrum* არის ყველაზე ხშირი გამომწვევი, ხოლო *T. mentagrophytes* კომპლექსი არის ვეზიკულარული კლინიკური ფორმის გამომწვევი.(Brenner et al., 1994).

ანთებითი ანუ ვეზიკულარული ფორმის ძირითადი გამომწვევია ანტროფოფილიკი *T. interdigitale*, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბულოზურ, პუსტულოზური გამონაყარი ტერფის წინა პლანტარულ ზედაპირზე.(Weitzman and Summerbell 1995) ვეზიკულები აღწევენ ეპიდერმისში ღრმად და მათი დიამეტრი მერყეობს 1-5 მმ-მდე, ზოგჯერ როდესაც გამონაყარი იღებს ბულოზურ სახეს შეიძლება მას თან დაერთოს სტაფილოკოკური ან სტრეპტოკოკული ინფექცია (Al Hasan et al. 2004) ვეზიკულები შეიძლება დაზიანდეს, გამოიწვიოს ძლიერი ქავილისა და წვის შეგრძნება და გახდეს მიზეზი ავადმყოფის სიარულის შეზღუდვის. ამ ფორმას ახასიათებს სეზონური, კერძოდ ზაფხულის პერიოდში გამწვავება. შესაძლებელია განვითარდეს გართულებები: ადგილობრივი აიდი რეაქცია; ცელულიტი; ადენოპათია; ლიმფანგიტი.(Mitchell 2012)

ქრონიკული ჰიპერკერატოზული (მოკასინი) *tinea pedis* როგორც წესი, გამოწვეულია *T. rubrum* – ით, ხასიათდება ქრონიკული, პლანტარული ერითემით, რომელიც იწყება მცირედი კერატოზით და ვითარდება დიფუზური ჰიპერკერატოზი.

ტიპიური ჰიპერვერატოზი შეიძლება განვითარდეს პლანტარულ ზედაპირზე, გავრცელდეს ტერფის ლატერალურ კიდეზე, მაშინ როცა დორსალური ზედაპირი ჩვეულებრივ სუფთაა. თუმცა იმ შემთხვევაში თუ პაციენტი იტარებს კორტიკოსტეროიდულ მკურნალობას შეიძლება პროცესში ჩაერთოს ტერფის დორსალური ზედაპირიც. პროცესში შეიძლება ჩართული იყოს ერთი ან ორივე ფეხი. ფრჩხილების ჩართვა პროცესში დამოკიდებულია დაავადების ხანდაზმულობაზე. დაახლოებით 50 % შემთხვევაში გვხვდება “two feet-one hand” სინდრომი. მტევნის ჩართვა პროცესში გამოწვეულია მტევნის ინფიცირებით. კლინიკური მახასიათებლები ტერფის მოვასინის ფორმისა და მტევნის მიკოზის დროს ერთნაირია. მაგრამ მხოლოდ ერთი მტევნის ჩართვის მიზეზი უცნობია. კვლევაში ჩართულ 80 პაციენტში ამ სინდრომით მიკოზი დაწყებული იყო ტერფებიდან,(Daniel III et al. 1997) ხოლო(Zhan et al) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ “two feet-one hand” სინდრომით დაავადებულ 94,5% ში გამომწვევი ტერფისა და მტევნის მიკოზისა იყო ერთიდაიგივე.(Nenoff et al. 2014) ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით მტევნის ჩართვა პროცესში გამოწვეულია ტერფის მოქავების დროს მტევნის თითის ინფიცირებით.(Daniel III et al. 1997)

წყლულოვანი კლინიკური ფორმა ხშირად ვითარდება ვეზიკულოპუსტილოზური დაზიანების დროს, ვითარდება წყლული, ეროზია და უმეტესად პროცესში ერთვება მეორადი ბაქტერიული ინფექცია. დაზიანებული არ არის მაცერირებული, რომლის კიდეებიც არის აქერცლილი. პროცესი იწყება მე-3 მე-4 თითებშუა ნაოჭებიდან და ვრცელდება გარე დორსალურ და პლანტარულ ზედაპირზე. ეს კლინიკური ტიპი ხშირად ვითარდება იმუნოდეფიციტურ და დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.(Legge, Grady, and Lacey 2014)

ტერფის მიკოზით დაავადებულთა ერთ მესამედს აღენიშნება ფრჩხილის მიკოზით ავადობა.(Szepietowski et al. 2006) სოკოვანი ინფექციით გამოწვეულ ფრჩხილის დაზიანებას ონიქომიკოზი ეწოდება. სოკოვანმა ინფექციამ შეიძლება დააზიანოს ფრჩხილის ნებისმიერი ადგილი - ფრჩხილის ფირფიტა, საწოლი და ფუძე. ინფექცია ვითარდება ნელა, პროგრესირებასთან ერთად ფრჩხილი იცვლის ფერს, ფრჩხილის ფირფიტა განიცდის დეფორმაციას, ფრჩხილი და მიმდებარე ქსოვილები სქელდება.

კლინიკური გამოვლინების მიხედვით მოწოდებულია ონიქომიკოზის შემდეგი კლასიფიკაცია 1.DLSO - დისტალური ან ლატერალური ფრჩხილის ქვეშა ონიქომიკოზი; 2. PSO - პროქსიმალური ფრჩხილის ქვეშა ონიქომიკოზი; 3. WSO - ზედაპირული თეთრი ონიქომიკოზი; 4.TDO - ტოტალური დისტროფიული ონიქომიკოზი; (Faergemann and Baran 2003) (Lestringant et al. 1996) ფრჩხილის სოკოვანი ინფექცია ხშირია მოზრდილ ასაკში. ავადობა პიკს აღწევს 40-60 წლის ასაკში, დაავადების სიხშირე იზრდება ასაკის მატებასთან ერთად, იშვიათად გვხვდება ბავშვებში. მამაკაცები უფრო ხშირად ავადდებიან ვიდრე ქალები.(Faergemann and Baran 2003)

ონიქომიკოზის გავრცელების მექანიზმი ისეთივეა, როგორიც ტერფების მიკოზისა - სპორტდარბაზში, საუნაში, აუზზე, საშხაპეში, გასახდელში (სადაც ცუდად იცავენ სანიტარიულ ნორმებს) დაავადებული ტერფებიდან ჩამოფცევნილი კანის ან ფრჩხილის მიკრონაწილაკებთან ერთად გარემოში იფანტება სოკოს ელემენტები, რომლებიც იატაკზე, ხალიჩაზე, ხის ცხაურზე დიდხანს ცოცხლობენ, წყლის პროცედურების დროს კი ტერფების კანი ფაშრდება, რაც დაავადების გამომწვევის შეღწევას აადვილებს. სოკოვანი დაავადების დროს ფეხის ფრჩხილები გაცილებით ხშირად ზიანდება, ვიდრე ხელისა (თანაფარდობა შეადგენს 4:1). ტერფის მიკოზის მსგავსად ონიქომიკოზიც ერთ-ერთი ხშირი პრობლემაა დერმატოლოგიაში. უფრო ხშირად გვხვდება განვითარებად ქვეყნებში. პრევალენტობა 60 წელს გადაცილებულ პირებში აშშ-ს მონაცემებით 2-3 %-ია, ხოლო დიდ ბრიტანეთში 2,71 %. (Lestringant et al. 1996) სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მოსახლეობაში ტერფის მიკოზითა და ონიქომიკოზით ავადობისა არ არსებობს.

განასხვავებენ ფრჩხილების დაზიანების სამ ტიპს: ნორმოტროფიულს, ჰიპერტროფიულს და ონიქოლიზურს.(Dhib et al. 2013) ნორმოტროფიული დაზიანების დროს იცვლება ფრჩხილის ფირფიტის ფერი, გარეთა კიდეებთან წარმოიქმნება ლაქები და ზოლები, რომელთა შეფერილობა თეთრიდან მოყვითალომდე ვარირებს. თანდათან მთელი ფრჩხილი იცვლის ფერს, თუმცა სისქესა და სიპრიალეს ინარჩუნებს. ჰიპერტროფიული დაზიანების დროს ფრჩხილის საწოლსა და ფირფიტას შორის გარქოვანება იმატებს, ფრჩხილი მქრთალდება, განიცდის დეფორმაციას, მყიფდება,

იფშვნება და საწოლს სცილდება, განსაკუთრებით - გვერდებზე. ზოგჯერ ფრჩხილის ფირფიტა ისე სქელდება, რომ ფრინველის კლანჭს ემსგავსება (ონიქოგრიფოზი) და სიარულის დროს ტკივილს იწვევს. ონიქოლიზური დაზიანებისას ფრჩხილის დაზიანებული ნაწილი მღვრიე ნაცრისფერს იღებს და ატროფირდება, ფირფიტა საწოლს სცილება, საწოლის გაშიშვლებული ნაწილი ფხვიერი გარქოვანებული ფენით არის დაფარული.(Hay and Baran 2011)

ფრჩხილების დაავადება ინფექციურიც შეიძლება იყოს და არაინფექციურიც. სოკოვანი ინფექციების წილად მოდის ფრჩხილების დაავადებათა დაახლოებით 50%, დანარჩენ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ფრჩხილის ფირფიტის არაინფექციურ დაზიანებასთან ანუ ონიქოდისტროფიასთან.(Lestringant et al. 1996) სოკოთი ინფიცირებული ფრჩხილის ჯანმრთელისგან გარჩევა ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარებამდე, საწყის ეტაპზე, შესაძლებელია მხოლოდ ფერის ცვლილებით. მოგვიანებით ფრჩხილი სქელდება, ფხვიერდება და იწყება მისი დესტრუქციული ცვლილებები. ფერი შეიძლება იყოს თეთრი, მოყვითალო, ყავისფერი ან შავი. არანამკურნალევი ონიქომიკოზი (ფრჩხილის სოკოვანი დაავადება) განიხილება როგორც სხვადასხვა ინფექციური (მაგალითად, წითელი ქარის) დაავადების წყარო. ონიქომიკოზი არსებითად ართულებს შაქრიანი დიაბეტის მიმდინარეობას.(Lestringant et al. 1996) გარდა ამისა, დასნებოვნებულს შესაძლოა განუვითარდეს ალერგია, ჩამოუყალიბდეს ჰიპერმგრძნობელობა სოკოს როგორც ალერგენის მიმართ; დაემართოს ან გართულდეს ისეთი დაავადებების მიმდინარეობა, როგორიც არის ბრონქული ასთმა, ალერგიული დერმატიტი. ონიქომიკოზის მკურნალობა ამჟამად არ წარმოადგენს სირთულეს, მით უმეტეს - თუ, როგორც აღვნიშნეთ, პაციენტმა დროულად მიმართა ექიმს და ზედმიწევნით დაიცვა მკურნალობის რეჟიმი. თანამედროვე ეფექტურ ანტიმიკოზურ (როგორც სისტემურ, ასევე ადგილობრივ) საშუალებებთან ერთად კომპლექსურ თერაპიაში შესაძლოა ჩაირთოს უახლესი მეთოდი - დაზიანებული ფრჩხილის აპარატული დამუშავება.(Rodgers and Bassler 2001) სერიოზულ პრობლემად მიიჩნევა იმ ნივთების დეზინფექცია, რასაც კი ეხება პაციენტი: მანიკიურისა და პედიკიურის ხელსაწყოებისა, ფეხსაცმლისა, წინდებისა. ფრჩხილის არაინფექციურ დაზიანებას,

ონიქოდისტროფიას, ასევე ახასიათებს ფრჩხილის ფირფიტის ფერის, ფორმის, ზედაპირის, სისქისა და ელასტიკურობის ცვლილება. ამ პათოლოგიურ პროცესს საფუძვლად უდევს ფრჩხილის ფირფიტის ტროფიკის (კვების) დარღვევა, რაც შემდგომ მისი დეფორმაციით, განლევითა და აშრევებით გამოვლინდება. ონიქოდისტროფია შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი დაავადება, ასევე სხვა დაავადების სიმპტომიც.(Welsh, Vera-Cabrera, and Welsh 2010)

ონიქომიკოზი პირველადიც შეიძლება იყოს და მეორადიც. პირველადი პათოლოგიის დროს ზიანდება ჯანმრთელი ფრჩხილი. დაავადების ალბათობას ზრდის სისხლის მიმოქცევის დარღვევა (ასაკოვან პირებში - გულ-სისხლძარღვთა დაავადებები), ძვლის მოტეხილობა, ინერვაციის დარღვევა (ხერხემლისა და ზურგის ტვინის დაზიანების დროს). მეორადი ონიქომიკოზები სხვა დაავადებების ფონზე, უკვე დაზიანებულ ფრჩხილზე ვითარდება. ფრჩხილების დაზიანება ზოგიერთ ქრონიკულ დაავადებასაც სდევს თან. მაგალითად, ფსორიაზს, წითელ ბრტყელ ლიქებს, ეგზემას, ნეიროდერმიტს. ასეთ დროს ვითარდება ონიქოდისტროფია, რომლის ონიქომიკოზისგან გასარჩევად ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას მიმართავენ. მიკოზის დროს ფრჩხილებიდან აღებულ მასალაში სოკოს ელემენტებს პოულობენ, ონიქოდისტროფიის დროს კი ვერა.(Lopes et al. 1999)

დერმატომიკოზის ერთ-ერთი სახეობაა ტრიქოფიტია, რომელსაც სხვადასხვა სახის ტრიქოფიტონი იწვევს. წინათ მიაჩნდათ, რომ გამომწვევი სოკო მხოლოდ თმას აზიანებდა, შემდეგ კი გაირკვა, რომ ის კანსა და ფრჩხილებსაც აავადებს. გამომწვევის ბუნების, ორგანიზმის საპასუხო რეაქციისა და დაზიანებული არის ლოკალიზაციის მიხედვით განასხვავებენ დაავადების რამდენიმე კლინიკურ ფორმას: ზერელეს, ქრონიკულს, ღრმას, ინფილტრირებულ-დაჩირქებულს და ფრჩხილებისას.

ტერფის მიკოზის საბოლოო დიაგნოსტიკისთვის, გარდა გარეგნული ცვლილებების დადასტურებისა, საჭიროა პათოლოგიური კერიდან აღებული მასალის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ტერფის მიკოზის სწორი დიაგნოსტიკა ამ დაავადების წინააღმდეგ სწორი სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა.(Noble, Forbes, and Stamm 1998) მოკლედ წარმოგიდგენთ

თანამედროვე, განახლებულ მონაცემებს დერმატოფიტული ინფექციის დიაგნოსტიკის შესახებ. დიაგნოსტიკის შეცდომის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სოკოთი დაავადებული კანის ანაფხევის მიკროსკოპული და მიკოლოგიური შესწავლა.(Arabatzis et al. 2007)(Verrier et al. 2013) არსებობს რამოდენიმე მეცნიერული ნაშრომი სადაც აღწერილია როგორ უნდა ხდებოდეს მასალის აღება, ტრანსპორტირება, შენახვა და ასევე აღწერილია დიაგნოსტიკის ტექნიკა და დერმატოფიტების იდენტიფიკაციის მეთოდები.(Rudramurthy and Shaw 2017)(Weitzman and Summerbell 1995)(Robert & Pihet, 2008;)(Kane 1997)(Abastabar et al. 2013)

პრაქტიკაში ფეხის სოკოს მკურნალობენ დერმატოლოგები, ოჯახის ექიმები, ზოგჯერ თერაპევტებიც და ძირითადად მკურნალობის დაწყება ხდება მიკოლოგიურად დადასტურების გარეშე - მხოლოდ კლინიკური ნიშნებზე დაყრდნობით.(Ates, Ozcan, and Ilkit 2008) ფეხის სოკოს მსგავსი კლინიკა შეიძლება ქონდეს სხვადასხვა ვეზიკულურ - ბულოზურ, ერითემატოზულ დაავადებებს, როგორიცაა ფსორიაზი, ჰერპესი, ცელულიტი, კონტაქტური დერმატიტი, იმპეტიგო და სხვა. ამიტომ დიფერენციალური დიაგნოსტირება აუცილებელია ლაბორატორიული ანალიზით, რომელიც მოიცავს სამ საფეხურს.(Baddour and Bisno 1985)ლაბორატორიული გამოკვლევისთვის მასალას წარმოადგენს დაზიანებული კერიდან ანაფხევი. როგორც წესი ფეხის მიკოზი დასტურდება პირდაპირი მიკროსკოპული კვლევით KOH - კალიუმის ჰიდროჟიდის გამოყენებით და კანის ანაფხევით, მაგრამ არსებობს ამ მეთოდის უარყოფითი მხარე ე.წ. ცრუ პოზიტიური შედეგი „მოზაიკური“ სოკოს შემთხვევაში(Abastabar et al. 2013)(Pihet and Le Govic 2017)(Park et al. 2011) (PAS) შედებვით მიკროსკოპული ხელსაწყოების მგრძნობელობის გაუმჯობესება საშუალებას იძლევა დერმატოფიტის იდენტიფიცირების.(Noble, Forbes, and Stamm 1998) KOH - ით კვლევა არის პირველი ეტაპი სოკოს სპორებისა და მიცელების იდენტიფიკაციის. ჯერ კანი უნდა გაიწმინდოს 70% სპირტიანი ბურთულით და კანზე ბლაგვი სკალპელით (N15) მივიღოთ კანის ანაფხევი, რომელიც უნდა განთავსდეს სასაგნე მინაზე და გამოყენებულ იქნას 15-20% KOH ხსნარი. 15-30 წუთის შემდეგ შესაძლებელია მასალის შემოწმება მიკროსკოპულად. მიკროსპორიის დროს მნიშვნელოვანია ლუმინესცენციური მეთოდი. დადებითი შედეგი

დაადასტურებს დაავადების მკურნალობის ადეკვატურობას. უარყოფითი შედეგი საჭიროებს ფლუორესცენციურ მიკროსკოპულ კვლევას, რომელიც კლინიკურ პრაქტიკაში შეზღუდულია. თუმცა დიდ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში (აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და იაპონიაში) ეს კვლევა კეთდება და ხელმისაწვდომია.(Markus et al. 2011) მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაცერირებული ან ეროზირებული დაზიანებები გრამუარყოფითი ბაქტერიებით თანხმლები ინფექციები ხელს უწყობს კულტურის მგრძნობელობის დაქვეითებას და ძნელია სოკოს ელემენტების გამოვლენა. ამიტომ მიკროსკოპული კვლევების უარყოფითი პასუხი არ გამორიცხავს სოკოვანი ინფექციის არსებობას.(Field and Adams 2008) მეორადი დერმატოზების დიაგნოსტირებისათვის მნიშვნელოვანია შეღებვა მეთილენის ლურჯით, რომელიც გამოავლენს დაზიანებულ ციტოპლაზმისა და ბირთვის დამახასიათებელ ნიშნებს. კულტურის შესწავლა, ამოთესვა და იდენტიფიცირება სოკოსი არის მე-2 ეტაპი, რომელსაც სჭირდება 2-3 კვირა. ეს მეთოდი მნიშვნელოვანია რეფრაქტერული და რეზისტენტული მიკოზების დროს და შედეგი უფრო კონკრეტულია.(Durdu and Ilkit 2013) თუნდაც ნეგატიური შედეგი აქაც არ გამორიცხავს მიკოზის არსებობას. ეს მეთოდი არ არის ძვირად ღირებული მაგრამ ხანგრძლივია. როდესაც პირდაპირი მიკროსკოპული და კულტურის კვლევა ნეგატიურია შეიძლება შესრულდეს ჰისტოპათოლოგიური კვლევა. თუმცა ეს არ არის მიღებული სტანდარტი მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში. თუ ამ მეთოდითაც ვერ გამოვავლენთ გამომწვევს გამოყენებული უნდა იქნას მე-3 ეტაპი - მოლეკულური კვლევის მეთოდი როგორიცაა PCR.(Garg et al. 2009) (Kanbe 2008)

დერმატოფიტის სახეობების იდენტიფიკაციისათვის არის ახალი მეთოდი ე.წ.  
Matrix-Assisted Laser Desorption/ Ionization-Time-of-Flight Mass Spectroscopy (MALDI-TOF MS)(L'Ollivier et al. 2013) რომელიც ჯერ პრაქტიკაში ფართოდ დანერგილი არ არის.

ტერფის მიკოზის მკურნალობის მიზანია: დიაგნოსტირებული ტერფის მიკოზის მკურნალობა სათანადო სოკოს საწინააღმდეგო საშუალებებით; სოკოვანი ინფექციის სრული ერადიკაცია; რეინფექციის პრევენცია და ოჯახის სხვა წევრების ინფექციისაგან დაცვა.

ტერფის მიკოზის მკურნალობა კომპლექსურია და გულისხმობს როგორც ზოგადი,

ისე ადგილობრივი საშუალებების გამოყენებას. ზოგადი მკურნალობისთვის გამოიყენება ფართო სპექტრის (სოკოს სხვადასხვა სახეობაზე მოქმედი) ანტიმიკოზური საშუალებები. ზოგიერთი მათგანი სოკოს ზრდას აფერხებს (ფუნგისტატიკები), ზოგიერთი სოკოს სპობს (ფუნგიციდები). ზოგ შემთხვევაში ადგილობრივად ჯერ კერატოლიზური (რქოვანას გამლობი) საშუალებები გამოიყენება, ფრჩხილის უმტკივნეულოდ (არაქირურგიული გზით) მოცილების შემდეგ კი ანტიმიკოზური მალამოები, ლოსიონები და სხვა.

ადგილობრივი საშუალებები იხმარება 1-დან 6 კვირის განმალობაში. უკანასკნელ დროს ჩატარებულმა რანდომიზირებული კვლევის მეტაანალიზმა აჩვენა რომ არის განსხვავება სხვადასხვა ჯგუფის ანტიფუნგალური საშუალებების ეფექტურობაში.(Rotta et al. 2012)

ტერბინაფინი აღმოჩნდა ეფექტური ინტერდიგიტალური ფორმით დაავადებულ პაციენტებში - 1 კვირის მკურნალობის შემდეგ, მაშინ როცა ჰიპერკერატოზული ფორმის დროს მკურნალობა უნდა გაგრძელდეს 4 კვირის განმავლობაში.(Schäfer-Korting, Schoellmann, and Korting 2008)

ინტერდიგიტალური ფორმა ზოგჯერ არის ასიმპტომური, ამ დროს აუცილებელია ადგილობრივი მკურნალობა თითებს შორის და ფეხის გულების არეში, ხშირად პაციენტები წყვეტენ მკურნალობას სიმპტომების გაქრობისთანავე, რაც ხელს უწყობს დაავადების რეციდივის განვითარებას.(Veraldi et al. 2018) კანის გამოსაშრობი საშუალებები - როგორიცაა კალიუმის პერმანგანატი, ბრუსის ხსნარი შეიძლება გამოყენებულ იქნას ვეზიკულური ტიპის ფეხის მიკოზის დროს. ადგილობრივი შარდმჟავა და სხვა კერატოლიზური საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოკასინის ტერფის მიკოზის დროს.(Shemer et al. 2010) თუკი ფეხის სოკოს თან ერთვის ადგილობრივი ანთებითი პროცესი სოკოს საწინააღმდეგო და კორტიკოსტეროიდებით მკურნალობა არის ეფექტური ხანმოკლე დროის განმავლობაში.(Sahoo and Mahajan 2016) პაციენტებს რომლებსაც აქვთ ქრონიკული ჰიპერკერატოზული მიკოზი ესაჭიროებათ ორალური ანტიფუნგალური თერაპია, ისე როგორც პაციენტებს თანმხლები ონიხომიკოზით, დიაბეტით და დაქვეითებული იმუნიტეტის შემთხვევაში.(Bell-Syer, Khan, and Torgerson 2012) უკანასკნელი მონაცემების შესწავლით დადგინდა რომ

ტერბინაფინი უფრო ეფექტურია ვიდრე იტრაკონაზოლითა და გრისეოფულვინით მკურნალობა.(Bell-Syer, Khan, and Torgerson 2012) 2010 წელს ჩატარდა კვლევა რომელიც ეხებოდა ინსულინდამოკიდებულ შაქრიან დიაბეტიანებში ანტიფუნგალურ მკურნალობას. კვლევამ აჩვენა რომ ტერბინაფინის ეფექტურობა აშკარა იყო იტრაკონაზოლისა და ფლუკონაზოლით მკურნალობასთან შედარებით.(Matricciani, Talbot, and Jones 2011) ინტრაკონაზოლი გავლენას ახდენს შემდეგი მედიკამენტების მოქმედებაზე, კერძოდ კალციუმის არხის ბლოკატორებზე, ვარფარინზე, ციკლოსპორინებზე, ბენზოდიაზეპინებზე და სხვა ანტიარითმიულ პრეპარატებზე. დიაბეტიან პაციენტებში ინტრაკონაზოლი გავლენას ახდენს ორალურ ჰიპერგლიკემიურ საშუალებებზე და ხელს უწყობს ჰიპოგლიკემიის რისკს და პირიქით ტერბინაფინი არის უსაფრთხო დიაბეტით დაავადებულ პაციენტებისათვის. უფრო მეტიც დამტკიცდა, რომ არაინსულინდამოკიდებულ დიაბეტიან პაციენტებში ყველაზე ეფექტურია ტერბინაფინი, როდესაც ფლუკონაზოლი არის ნაკლებად ეფექტური. ამიტომ გადაწყდა რომ დიაბეტიანებში ტერფის მიკოზის დროს არჩევის პრეპარატია ტერბინაფინი.(Bristow and Spruce 2009) ფეხის სოკოს დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა ამცირებს ფრჩხილის სოკოს შემთხვევებს. ძირითადად ონიხომიკოზი საჭიროებს 3-დან 12 თვემდე მკურნალობას, რაც ხდის ამ დაავადებას უფრო მძიმეს, ფეხის სოკოსთან შედარებით. (Perea et al. 2000) იაპონიაში აქტუალურია ანტიფუნგალური პრეპარატი Luliconazole. მკვლევარებმა შეისწავლეს მისი *in vitro* ანტიფუნგალური მოქმედება და შეადარეს სხვა ხუთი ჯგუფის ანტიფუნგალურ პრეპარატებს - 1.ალილამინის (terbinafine) 2. თიოკარბამატის (liranafate) 3. ბენზილამინის (butenafine) 4. მორფოლაინის (amorolfine) და 5. აზოლის (ketoconazole, clotrimazole, neticonazole, miconazole and bifonazole) ჯგუფის მედიკამენტების ეფექტურობას. კვლევის შედეგად Luliconazole-მა აჩვენა მაღალი ეფექტურობა Trichophyton (*T. rubrum*, *T. mentagrophytes* and *T. tonsurans*) წინააღმდეგ სხვა ჯგუფის ანტიფუნგალურ პრეპარატებისაგან განსხვავებით.(Koga et al. 2009)

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია მკურნალობის პროცესის მონიტორინგი. აუცილებელია, სოკო-პარაზიტის არარსებობა მკურნალობის შემდეგ რამდენიმე საკონტროლო ლაბორატორიული გამოკვლევით დადასტურდეს. სოკო ადამიანის

ორგანიზმში ნელა იზრდება, მკურნალობის შედეგი საკმაო ხნის შემდეგ ხდება თვალსაჩინო. ასე რომ, დაზიანებული მიდამოს ჯანსაღი იერი განკურნებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს.(Weitzman and Summerbell 1995) მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში მოსალოდნელია რეციდივი, განმეორებითი კურსის ჩატარებისას კი სავსებით შესაძლებელია საჭირო გახდეს ახალი ანტიმიკოზური პრეპარატის დანიშვნა, რადგან უკვე გამოყენებული უეფექტო ხდება.

ტერფის მოკოზის პროფილაქტიკა გულისხმობს: დაავადების აქტიურ გამოვლინებას (საჭიროების შემთხვევაში - ავადმყოფის იზოლაციას), მის დროულ და სრულფასოვან მკურნალობას; სოკოვანი დაავადების თითოეული შემთხვევის ეპიდემიოლოგიურ ანალიზს მიკოზის კლინიკური ფორმის გათვალისწინებით; გამომწვევის სახეობისა და გავრცელების გზების შესწავლას მისი ლიკვიდაციის მიზნით; დაავადების ხელშემწყობი ფაქტორების (ჭარბი ოფლიანობა, მიკროტრავმატიზაცია) აღმოფხვრას; სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

ტერფის მიკოზი სიცოცხლისათვის საშიში არ არის, მაგრამ გავრცელების მაღალი სიხშირისა და კონტაგიოზურობის გამო რჩება ჯანდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. ამ დაავადებას მოყვება უსიამოვნო სიმპტომები - ქავილი, შრომისუნარიანობის დაქვეითება - განსაკუთრებით ასაკოვან მოსახლეობაში.(Weitzman and Summerbell 1995)

ინფიცირებულმა პაციენტმა არ უნდა იაროს ფეხშიშველმა სახლში, საცურაო აუზზე, გასახდელში და საშხაპეში. ანტროპოფილური დერმატოფიტი ცოცხლობს ყველაზე მცირე 123 დღე. (Fischer 1982) ამ დაავადების პრევენცია შეიცავს მაღალხარისხიან ჰიგიენას. (ფეხის დაბანა, გაშრობა, პუდრის ხმარება.) ავადმყოფის წინდები, ფეხსახოცი და ფეხსაცმელები უნდა იყოს იზოლირებული.(Ilkit and Durdu 2015) სასურველია ღია ფეხსაცმლის ტარება და ბოლოს ფეხსაცმლის დეზინფიცირება ულტრაიისფერი გამოსხივების აპარატურით და ოზონის გაზით იძლევა ძალიან კარგ შედეგს.(Ghannoum, Isham, and Long 2012)(Gupta, Foley, and Versteeg 2017) აღსანიშნავია რომ სადეზინფექციო ხსნარები სოკოს კი სპობს, მაგრამ სპორებს ვერაფერს აკლებს.

*T. rubrum* გადადის ინფიცირებული ქსოვილიდან არაინფიცირებულზე. ამიტომ უნდა მოხდეს სარეცხის იზოლირება სარეცხ კალათაში. *T. rubrum* ვერ უძლებს მაღალ ტემპერატურას და ნადგურდება წყლის 60 გრადუს ცელსიუსზე გათბობისას.(Hammer, Mucha, and Hoefer 2012) დაუშვებელია მკურნალობის შეწყვეტა ექიმის თანხმობის გარეშე; მკურნალობის ნაადრევად შეწყვეტის დროს იზრდება რეინფექციის რისკი;

ტერფის მიკოზის ფარული ფორმების პრევალენტობის მაღალი სიხშირე იმის დადასტურებაა, რომ საჭიროა ფართო მაშტაბიანი სტრატეგიის შემუშავება ფეხის სოკოს ინფექციის პრევენციული მკურნალობის ჩატარების მიზნით.(Perea et al. 2000)

### III კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდიკები და მეთოდები

ჩატარდა ფართომაშტაბიანი ეპიდემიოლოგიური კვლევა თავდაცვის ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში.

კვლევის ტიპი დიზაინის მიხედვით არის ეპიდემიოლოგიური - (სპეციფიურ პოპულაციაში დაავადების - ტერფის მიკოზის - გავრცელების შესწავლა) ხოლო კვლევის ტიპი ბუნების მიხედვით არის რაოდენობრივი, კორელაციური (რიცხვები, მაღალი სტატისტიკური სანდოობა, რეპრეზენტატული) ასევე კოპორტული - რისკ ფაქტორების მქონე პირთა კვლევა. რაც შეეხება კვლევა - მიმდინარეობის პერიოდის მიხედვით არის ჯვარედინა სექციური - დაავადების მონაცემების შეფასება დროის გარკვეულ მონაკვეთში;

კვლევის შედეგების გენერალიზაციისათვის, კვლევაში ჩართული პირების რაოდენობა გამოთვლილ იქნა *Slovin's formula*-ს საშუალებით მთლიანი თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობის გათვალისწინებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის ძალების 8 სხვადასხვა სახეობის სამხედრო ნაწილმა, რომლებიც დისლოცირებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სამხედრო ნაწილიდან აღებული იქნა სამხედროების გვარობრივი სია და შემდგომ რანდომიზაციით შეირჩა კვლევაში მონაწილე 1000 პირი,

რომლებიც გამოიკითხნენ კვლევაში ჩართვისა და გამორთვის კრიტერიუმების მიხედვით, რის შედეგადაც კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი დააკმაყოფილა ჯამში 729 სამხედრომ.

სამოქალაქო სექტორში ტერფის მიკოზის შესახებ ეპიდემიოლოგიური მონაცემის მოძიება ვერ მოხერხდა მისი არ არსებობის გამო და ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა სამოქალაქო საჯარო მოხელეებიც, რათა მიღებული შედეგები შეგვედარებინა სამხედროებში ჩატარებული კვლევის შედეგებისათვის. თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის 6 სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლებიდან რანდომიზაციით შეირჩა 325 პირი, რომელთაგან კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი დააკმაყოფილა 279 სამოქალაქო პირმა, რომლებიც ჩაერთვნენ კვლევაში.

სამხედროებისათვის და სამოქალაქო პირებისათვის კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო ერთნაირი: 1. სქესი - მამაკაცი; 2. ასაკი 18-50 წელი; 3. ინფორმირებული თანხმობა კვლევაში ჩართვაზე.

გამორიცხვის კრიტერიუმები იყო: 1. ბოლო 6 თვის განმავლობაში მკურნალობა ტერფის მიკოზის დიაგნოზით; 2. ტერფის მიდამოს სხვა დაავადებები;

სამოქალაქოებისათვის ჩართვის კრიტერიუმში დავამატეთ პირობა, რომ კვლევაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო ყოფილ სამხედროს.

გამომდინარე იქედან, რომ ტერფის სოკოს ახასიათებს გამწვავების სეზონურობა ცხელ და ტენიან ამინდებში კვლევის პერიოდი სპეციალურად შეირჩა 2018 წლის ზაფხული. განხორციელდა სტრატიფიცირებული შერჩევა - სამხედროები დაიყო სტრატებად სხვადასხვა მახასიათებლით (ასაკი, სქესი, სამხედრო წოდება, ქვედანაყოფი) და ყოველი სტრატიდან შემთხვევითი შერჩევით შეიქმნა გამოსაკითხი ჯგუფები. სამხედროებმა შეავსეს წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარები. კვლევის ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა მათგანის გარეგნული დათვალიერება. აღმოჩენილი პათოლოგიური კერიდან აღებულ იქნა მასალა მიკროსკოპული

კვლევისათვის დიაგნოზის დასადასტურებლად. რეპრეზენტატულობისათვის კვლევაში მონაწილეობა მიიღო ყველა რანგის სამხედრომ სხვადასხვა სამხედრო ნაწილიდან.

კვლევას საფუძვლად დაედო 729 მოქმედი სამხედრო პირის გამოკვლევის შედეგები, რომლებიც დაყოფილ იყვნენ 3 ასაკობრივი ჯგუფად: 18-25წწ (n=231); 26-35წწ (n=284); 35+წწ (n=214). ასევე დაიყვნენ სამხედრო რანგის მიხედვით: I ჯგუფი- სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები (n=161), II ჯგუფი საკონტრაქტო (პროფესიული) კაპრალ-სერჟანტი (n=410) და III ჯგუფი - ოფიცრები -(n=158)

დღის განმავლობაში სამხედრო ფეხსაცმლის ტარების პერიოდის მიხედვით კი დაიყვნენ 4 ჯგუფად; I ჯგუფი (n=161) სამხედროები, რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ დაახლოებით 14 სთ დღის განმავლობაში, II ჯგუფი (n= 145) სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ 3 დღეში 1 ჯერ 24 სთ განმავლობაში, III ჯგუფი - (n=265) სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ სამუშაო დღეებში 08-20 სთ-მდე და IV ჯგუფი (n=158) - სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ მხოლოდ სამუშაო დღეებში 9-18 სთ-მდე. გამოკვლეული სამხედროები ასევე დაყოფილ იქნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილების მიხედვით სადაც ისინი მსახურობდნენ: 1. შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა - (n=93) 2. საავტომობილო ბაზა - (n=68), 3. დაცვის საკომენდატო ასეული - (n=101) 4. მე-6 საარტილერიო ბრიგადა (n=281), 5. ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა (n=48) 6. გენერალური შტაბი (n=58) 7. ავიაციის სარდლობა (n=22) 8. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი (n=58)

სამხედრო სამსახურში ნამსახურე წლების მიხედვით გამოკვლეული სამხედროები დაიყო 2 ჯგუფად: I ჯგუფი - სამხედროები რომლებსაც ნამსახურები ქონდათ 10 წელზე ნაკლები (n=508) და II ჯგუფი - სამხედროები რომლებსაც ნამსახურები ქონდათ 10 წელზე მეტი (n=221)

გამოკვლეული პირების მონაცემები ასაკობრივი ჯგუფებისა და სამხედრო ქვედანაყოფების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით. ( ცხრილი 1)

სამხედრო ნაწილი		N	n	%	F	P
ასაკი 18-25	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	92	98.92	173.31	<0.001
	საავტომობილო ბაზა	68	68	100.00		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	7	6.93		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	59	21.00		
	ჯარების ლოგისტ. უზრუნვ. სარდლობა	48	0	0.00		
	გენერალური შტაბი	58	1	1.72		
	ავიაციის სარდლობა	22	0	0.00		
	სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი	58	4	6.90		
	სულ	729	231	31.69		
ასაკი 26-35	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	1	1.08	26.92	<0.001
	საავტომობილო ბაზა	68	0	0.00		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	63	62.38		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	125	44.48		
	ჯარების ლოგ.უზრუნ. სარდლობა	48	27	56.25		
	გენერალური შტაბი	58	24	41.38		
	ავიაციის სარდლობა	22	6	27.27		
	სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი	58	38	65.52		
	სულ	729	284	38.96		
ასაკი>35	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	0	0.00	19.62	<0.001
	საავტომობილო ბაზა	68	0	0.00		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	31	30.69		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	97	34.52		
	ჯარების ლოგ.უზრუნველ. სარდლობა	48	21	43.75		
	გენერალური შტაბი	58	33	56.90		
	ავიაციის სარდლობა	22	16	72.73		
	სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი	58	16	27.59		
	სულ	729	214	29.36		

ცხრილი 1. გამოკვლეული სამხედროები ასაკობრივი ჯგუფებისა და სამხედრო ქვედანაყოფების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს საავტომობილო ბაზაზე მსახურობენ მხოლოდ 18-25 წლის ასაკის პირები, რაც აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ სამხედრო ბაზაზე მსახურობენ

სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, ავიაციის სარდლობაში ეს ასაკობივი ჯგუფი არ გვხვდება. 26-35 ასაკობრივ ჯგუფში სარწმუნოდ მაღალი სიხშირით გამოირჩევიან დაცვის საკომენდატო ასეულისა და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეები. 35 წელზე უფროსი ასაკი სარწმუნოდ მეტია ავიაციის სარდლობაში.

სამხედროებში საშუალო ასაკი იყო  $30.46 \pm 8.42$ , ხოლო ნამსახურეობის წლები საშუალოდ  $7.71 \pm 5.73$ . (ცხრილი 2)

სამხედრო ნაწილი		N	Mean	Std. Deviation	Minimum	Maximum	F	P
ასაკი	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	19.40	1.89	18.00	30.00	104.62	<0.001
	საავტომობილო ბაზა	68	20.03	1.94	18.00	25.00		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	32.42	5.96	18.00	49.00		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	32.54	7.52	18.00	49.00		
	ჯარების ლოგ. უზრ. სარდლობა	48	35.88	5.54	27.00	50.00		
	გენერალური შტაბი	58	37.17	5.53	20.00	49.00		
	ავიაციის სარდლობა	22	38.14	4.83	30.00	49.00		
	სამხედრო პოლიციის	58	32.84	5.90	22.00	49.00		
	დეპარტამენტი							
ნამსახურება	სულ	729	30.46	8.42	18.00	50.00		
	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	0.93	0.33	0.30	4.00	101.69	<0.001
	საავტომობილო ბაზა	68	0.66	0.18	0.11	1.00		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	8.83	3.62	1.00	20.00		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	8.59	4.85	0.10	23.00		
	ჯარების ლოგ. უზრ. სარდლობა	48	11.52	4.86	0.90	25.00		
	გენერალური შტაბი	58	13.75	4.80	0.60	23.00		
	ავიაციის სარდლობა	22	14.45	5.54	6.00	25.00		
	სამხედრო პოლიციის	58	8.83	4.31	0.60	24.00		
	დეპარტამენტი							
	სულ	729	7.71	5.73	0.10	25.00		

ცხრილი 2. სამხედროების ასაკისა და ნამსახურეობის წლების მონაცემები

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს სარწმუნოდ მაღალია ავიაციის სარდლობისა და გენერალური შტაბის მოსამსახურეთა საშუალო ასაკი და დაბალია შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზის მოსამსახურეთა საშუალო ასაკი, ასევე სარწმუნოდ მაღალია ავიაციის სარდლობისა და გენერალური შტაბის მოსამსახურეთა ნამსახურობის ვადა და მცირეა საავტომობილო ბაზის მოსამსახურეთა საშუალო ასაკი.

ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო პირთა ასაკობრივ მონაცემებს გამოკვლეულ 279 სამოქალაქო პირში სარწმუნოდ მაღალია საშუალო ასაკი სამხედროებთან შედარებით. (ცხრილი 3.)

		N	Mea±Std. Dev.	t	p
ასაკი	სამხედრო	729	30.46±8.42	-6.40	<0.001
	სამოქალაქო	279	34.11±7.23		

ცხრილი 3. სამხედრო და სამოქალაქო პირთა ასაკობრივი მონაცემები

სამხედროებმა შეავსეს წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარები. კვლევის ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა მათგანის გარეგნული-კლინიკური დათვალიერება. დაავადების კლინიკური სიმძიმის შესაფასებლად გამოვიყენეთ - ვალიდური მარტივი ქულების სისტემა AFSS (Athlete's foot severity score, AFSS). (Cohen et al. 2002) AFSS მოიცავს კლინიკურ შეფასებას 3 კლინიკური ნიშნის მახასიათებლის გამოყენებთ: ერითემა, ნახეთქი და/ან მაცერაცია ქუსლზე და თითებშუა არეებში. ტერფის მიკოზის კლინიკური არსებობა შეფასდა AFSI (Athlete's foot severity Index) გამოყენებით. სამხედროებს სადაც AFSS>1 აღებული იქნა მასალა ლაბორატორიული კვლევისათვის. ქულა 0-2 აღნიშნავს ერითემის ან ნახეთქების არსებობას ფეხის პლანტარულ ან თითებშუა არეებში. 0 ქულა - არცერთი კლ. ნიშანი, 1 ქულა - მინიმალური ნიშნები და 2 ქულა - ზომიერი ან მძიმე ნიშნები. სამხედროები რომლებსაც AFSS>1 ჩაითვალნენ ტერფის მიკოზის დიაგნოზის მაღალი რისკის ქვეშ განსხავებით სამხედროებისაგან რომლებსაც ჰქონდათ AFSI=0-1. დიაგნოზის დასადასტურებლად, აღმოჩენილი პათოლოგიური კერებიდან აღებულ იქნა მასალა ლაბორატორული კვლევისათვის. მასალას წარმოადგენდა დაზიანების კერებიდან

აღებული ანაფხევი, რომელიც თავსდებოდა ერთჯერად სასაგნე მინაზე და მუშავდებოდა KOH-ის 10%-იანი ხსნარით. სოკოს მიცელიუმების გამოვლენის მიზნით ხდებოდა პრეპარატის დათვალიერება მიკროსკოპით (HumaScope Plus). მიკროსკოპულ კვლევას ატარებდა ამ დარგში დიდი გამოცდილების ექიმ-ლაბორანტი, რომელიც იყო კვლევის ჯგუფის წევრი. მიკროსკოპული დათვალიერება ხდებოდა კვლევის ჩატარების ადგილზე. ექიმი - ლაბორანტი მასალას ამოწმებდა ისე, რომ არ არ ჰქონდა წვდომა კლინიკურ მონაცემებთან და კვლევას აკეთებდა ბრმად.

### გამოყენებული სტატისტიკური მეთოდები:

მიღებული შედეგების დამუშავება მოვახდინეთ ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით; კერძოდ:

- რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა; ჯგუფებს შორის განსხვავება დადგინდა სტიუდენტის კოეფიციენტით(t) დამოუკიდებელი ამონარჩევისათვის;
- ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის - F ფიშერის კრიტერიუმით;
- ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი დადგინდა კორელაციური ანალიზის საშუალებით - სპირმენის რანგული ტესტით;
- ფარდობითი შანსის შეფასება - რეგრესიული ანალიზით;
- მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 22-ის გამოყენებით.

ლოგისტიკურ რეგრესულ ანალიზში შევიტანეთ კითხვარებში მოცემული ყველა ფაქტორი, რომელთანაც გამოვლინდა დადებითი კორელაცია დაავადებასთან და ასევე რაოდენობრივი ცვლადები: ასაკი, წელთა ნამსახურეობა, სამხედრო რანგი.


## IV კვლევის ეთიკის საკითხები

კვლევის პროექტი განხილულ იქნა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო

ეთიკის კომისიის მიერ, საიდანაც მიღებულ იქნა კვლევის ჩატარების თანხმობის წერილი. წერილობით იყო ასევე კვლევის ჩატარება შეთანხმებული თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსთან. კვლევაში მონაწილე პირები ინფორმირებულები იყვნენ კვლევის შესახებ და მათგან წინასწარ იქნა მიღებული წერილობითი თანხმობები კვლევაში მონაწილეობაზე.


#### IV კვლევის შედეგები და მათი ანალიზი

გამოკვლეულ (729) სამხედროდან 46,64% (340) აღმოაჩნდა კლინიკურად ტერფის მიკოზი, 30,59% (223) შემთხვევაში პათოლოგიური კერიდან აღებული იქნა მასალა ლაბორატორიულად დიაგნოზის დასადასტურებლად, ლაბორატორიულად დადასტურებული დიაგნოზი აღმოაჩნდა 25,24% (184), ხოლო ონიხომიკოზი 24,83% (181). შედეგები წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 1)



დიაგრამა 1. სამხედროებში ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის გავრცელების ზოგადი შედეგები


ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების მიხედვით კი მონაცემები გადანაწილდა  
შემდეგნაირად.(დიაგრამა 2)



დიაგრამა 2. ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების მონაცემები

ტერფის მიკოზის ინტერდიგიტალური ფორმა სარწმუნოდ მაღალი სიხშირით  
გვხვდება გამოკვლეულ სამხედროებში.


წოდებრივ ჯგუფებსა და სამხედრო ფეხსაცმლის დღის განმავლობაში ტარების  
პერიოდის ჯგუფებს შორის დადასტურებული ტერფის მიკოზი განაწილდა  
შემდეგნაირად: (დიაგრამა 3 )



დიაგრამა 3. წოდებრივ ჯგუფებში დადასტურებული ტერფის მიკოზის გადანაწილება  
(%)

დადასტურებული სოკოს სიხშირე სარწმუნოდ მაღალი იყო ვადიან სამხედრო მოსამსახურეებში(I), - რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ დაახლოებით 14 სთ დღის განმავლობაში, მაგრამ სარწმუნო განსხვავება არაა ოფიცრებსა ( IV - სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ სამუშაო დღეებში 9-18 სთ-მდე) და სერუანტ-კაპრალებს (II- III ჯგ.) შორის.

კლინიკური ონიქომიკოზის პრევალენტობა სარწმუნოდ მაღალია IV ჯგუფში და სარწმუნოდ დაბალი I ჯგუფში იხ. დიაგრამა 4



დიაგრამა 4. წოდებრივ ჯგუფებში კლინიკური ონიქომიკოზის გადანაწილება (%)


კლინიკურად გამოხატული ონიქომიკოზის შემთხვევების მიხედვით DLSO-distal lateral subungual onychomycosis აღმოაჩნდა კლინიკური ონიქომიკოზით დაავადებულ პირთა 57.46% (n=104); SWO - superficial white onychomycosis 25.41% (n=46); TDO - total dystrophic onychomycosis 9.94% (n=18); და PSO - proximal subungual onychomycosis დაფიქსირდა 7.18% (n=13) შემთხვევაში; ასევე ცხრილი 4 სახით წარმოდგენილია წოდებრივ ჯგუფებში ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის გადანაწილება.

დიაგნოზი	ვადიანი სამხედრო n=161		სერჯანტ- კაპრალი n=410		ოფიცერი n=158		F	p
	abs	%	abs	%	abs	%		
კლინიკური ტერფის მიკოზი	91	56.52	188	45.85	61	38.61	5.31	0.0051
დადასტურებული ტერფის მიკოზი	65	40.37	87	21.22	32	20.25	12.96	<0.001
ინტერდიგიტალური კლინიკური ფორმა	76	47.20	120	29.27	45	28.48	9.57	0.0001
ანთებითი კლინიკური ფორმა	13	8.07	23	5.61	8	5.06	0.79	0.4562
ჰიპერკერატოზული კლინიკური ფორმა	2	1.24	41	10.00	5	3.16	9.32	0.0001
წყლულოვანი კლინიკური ფორმა	0	0.00	4	0.98	3	1.90	1.51	0.2210
კლინიკური ონიქომიკოზი	17	10.56	114	27.80	50	31.65	12.06	<0.001

ცხრილი 4. წოდებრივ ჯგუფებში ტერფის მიკოზისა და კლ. ონიქომიკოზის გადანაწილება

როგორც ცხრილიდან ჩანს კლინიკური და დადასტურებული ტერფის მიკოზი აგრეთვე სოკოს ინტერდიგიტალური ფორმა სარწმუნოდ მცირდება რანგის ზრდასთან ერთად, მაგრამ იზრდება -კლინიკური ონიქომიკოზის შემთხვევები.


სამხედრო ქვედანაყოფების მიხედვით ტერფის მიკოზებისა და ონიქომიკოზის განაწილება მოცემულია დიაგრამა 5-ში.



დიაგრამა 5. სამხედრო ქვედანაყოფებში ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის გადანაწილება (%)

კლინიკური ონიქომიკოზი სარწმუნოდ მაღალი სიხშირით გამოირჩევა ავიაციის სარდლობაში; დაბალია შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზასა და სავტომობილო ბაზაზე. ტერფის მიკოზის კლინიკური გამოვლენა სარწმუნოდ დაბალი სიხშირით აღინიშნა გენერალურ შტაბში, აღებული მასალა და შესაბამისად დადასტურებული ტერფის მიკოზი ყველაზე ნაკლები იყო ავიაციის სარდლობაში, ხოლო ტერფის მიკოზის როგორც კლინიკური ასევე დადასტურებულლი ფორმების სიხშირე სარწმუნოდ მაღალია საავტომობილო, შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზაში. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ აღნიშნული ბაზები დაკომპლექტებულია სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებით, ხოლო ავიაციის სარდლობასა და გენერალურ შტაბში სამხედრო პირების ნამსხურეობის წლები მაღალია სხვა ქვედანაყოფების სამხედროებთან შედარებით.

ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების მონაცემები წოდებრივ ჯგუფებში წარმოდგენილია დიაგრამა 6 სახით.



დიაგრამა 6. წოდებრივ ჯგუფებში კლინიკური ტერფის მიკოზის გადანაწილება(%)

ინტერდიგიტალური ფორმა სარწმუნოდ მაღალი სიხშირით გვხვდება ვადიან სამხედრო მოსამსახურეებში, ამასთან ინტერდიგიტალური ფორმის სიხშირე სხვა ფორმებთან შედარებით მაღალია ჯგუფებს შიგნითაც, ჰიპერკერატოზული ფორმა სარწმუნოდ მაღალია II და III ჯგუფებში - (კაპრალ-სერჯანტებში). I ჯგუფში (ვადიან სამხედრო მოსამსახურეებში) სარწმუნოდ დაბალი იყო ჰიპერკერატოზული ფორმა და არ გამოვლინდა წყლულოვანი ფორმა. ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების მონაცემები სხვადასხვა ქვედანაყოფების მიხედვით მოცემულია ცხრილი 5-ში.

	სამხედრო ნაწილი	N	n	%	F	P
ინტერდიგიტალური კლ. ფორმა	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	45	48.39	3.77	0.0005
	საავტომობილო ბაზა	68	30	44.12		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	23	22.77		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	96	34.16		
	ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა	48	13	27.08		
	გენერალური შტაბი	58	12	20.69		
	ავიაციის სარდლობა	22	4	18.18		
	სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი	58	18	31.03		
ანთებითი კლ. ფორმა	სულ	729	241	33.06		
	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	7	7.53	0.57	0.7811
	საავტომობილო ბაზა	68	6	8.82		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	6	5.94		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	15	5.34		
	ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა	48	2	4.17		
	გენერალური შტაბი	58	5	8.62		
	ავიაციის სარდლობა	22	0	0.00		
ჰიპერკერატოზული კლ. ფორმა	სულ	729	44	6.04		
	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	0	0.00	2.90	0.0053
	საავტომობილო ბაზა	68	2	2.94		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	9	8.91		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	27	9.61		
	ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა	48	1	2.08		
	გენერალური შტაბი	58	2	3.45		
	ავიაციის სარდლობა	22	0	0.00		
ჰიპერკერატოზული კლ. ფორმა	სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი	58	7	12.07		

	სულ	729	48	6.58		
წყლულოვანი კლ. ფორმა	შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა	93	0	0.00	1.31	0.2415
	საავტომობილო ბაზა	68	0	0.00		
	დაცვის საკომენდატო ასეული	101	2	1.98		
	მე-6 საარტილერიო ბრიგადა	281	2	0.71		
	ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა	48	2	4.17		
	გენერალური შტაბი	58	1	1.72		
	ავიაციის სარდლობა	22	0	0.00		
	სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი	58	0	0.00		
	სულ	729	7	0.96		

ცხრილი 5. სამხედრო ქვედანაყოფებში ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების გადანაწილება

განსხვავება დაფიქსირდა ჯგუფებს შორის კლინიკური ფორმების მიხედვითაც - ინტერდიგიტალური ფორმის სიხშირე სარწმუნოდ მაღალია შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზასა და საავტომობილო ბაზაზე, ჰიპერკერატოზული - სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურებში. სამხედრო სამსახურში წელთა ნამსახურეობის პერიოდის მიხედვით ჯგუფებში ტერფის მიკოზისა და კლინიკური ონიხომიკოზის შემთხვევები წარმოდგენილია ცხრილი 6 -ის სახით.

დიაგნოზი	<10 n=508		>10+, n=221		F	P
	abs	%	abs	%		
კლინიკური ტერფის მიკოზი	240	47.24	100	45.25	0.25	0.6202
დადასტურებული ტერფის მიკოზი	133	26.18	51	23.08	0.79	0.3759
კლ. ონიქომიკოზი	106	20.87	75	33.94	14.33	0.0002
ინტერდიგიტალური კლ. ფორმა	173	34.06	68	30.77	0.75	0.3867
ანთებითი კლ. ფორმა	33	6.50	11	4.98	0.63	0.4294
ჰიპერკერატოზული კლ. ფორმა	32	6.30	16	7.24	0.22	0.6384
წყლულოვანი კლ. ფორმა	2	0.39	5	2.26	5.68	0.0174

ცხრილი 6. სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის პერიოდის მიხედვით ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის მონაცემები

როგორც ცხრილიდან ჩანს ნამსახურეობის მიხედვით ორივე ჯგუფში თანაბარია ტერფის მიკოზის პრევალენტობა, თუმცა 10 წელზე მეტი ნამსახურეობის სამხედროებში სარწმუნოდ მაღალია კლინიკური ონიქომიკოზის შემთხვევები.

ასაკობრივ ჯგუფებში კი ტერფის მიკოზისა და კლ. ონიქომიკოზის შემთხვევები მოცემულია ცხრილი 7-ში.


დიაგნოზი	18-25 n=231		26-35 n=284		>35 n=214		F	P
	abs	%	abs	%	abs	%		
კლინიკური ტერფის მიკოზი	119	51.52	124	43.66	97	45.33	1.68	0.1864
დადასტურებული ტერფის მიკოზი	73	31.60	60	21.13	51	23.83	3.89	0.0209
კლ. ონიქომიკოზი	28	12.12	82	28.87	71	33.18	15.83	<0.001
ინტერდიგიტალური კლ. ფორმა	96	41.56	87	30.63	58	27.10	5.93	0.0028
ანთებითი კლ. ფორმა	15	6.49	14	4.93	15	7.01	0.53	0.5909
ჰიპერკერატოზული კლ. ფორმა	8	3.46	21	7.39	19	8.88	2.91	0.0552
წყლულოვანი კლ. ფორმა	0	0.00	2	0.70	5	2.34	3.37	0.0351

ცხრილი 7. ასაკობრივ ჯგუფებში ტერფის მიკოზისა და ონიქომიკოზის მონაცემები

დადასტურებული ტერფის მიკოზი სარწმუნოდ მაღალი იყო I ასაკობრივ ჯგუფში და მცირდება ასაკთან ერთად. ასევე ასაკთან ერთად იმატებს იმ სამხედროების რიცხვი, რომლებსაც აღენიშნებათ კლინიკური ონიქომიკოზი.

კვლევის ჯგუფის მიერ სამხედროები შემოწმდნენ ასევე კანის დაავადებებზეც, რომელთა მონაცემები წოდებრივი ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამა 7 -ის სახით.

